გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№379 (438) 20-27 სექტემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: დასავლეთის ორმაგი სტანდარტი და ქართველთა ილუზია

გვ.2

## ბიულენს ახლო კავშირი აქვს საქართველოს ექს-პრეზიდენტის დედასთან გიული ალასანიასთან

გვ.5

## იზა თამაზაშვილი: ნაციონალური თამაშები „იავნანას“ მოტივებზე

გვ.3

## რედაქციაში წერილი მოვიდა:

სირიამდე ჩამოაღწია სამარცხვინო ამბავმა, რომ ე.წ. ხელისუფლების (აწ ჩამაღლებულ) მასონ, ტირან შევარდნაძის ხუნტის გამგრძელებელ ბნედიან სააკიანცის ბანდამ ზუგდიდის მაჟორიტარად ოფიციალურად დაასახელა მიხელ სააკიანცის მეუღლის სანდრა რულოვსის კანდიდატურა. ამერიკელთა ეს გახრწნილი აგენტი აპირებს ზუგდიდის მოსახლეობის „ინტერესების დაცვას“ ე.წ. პარლამენტიდან.

გვ.2

## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.7

## ბორის დავითაია: პოეზია აბოლებს?

გვ.6





## პენიტენციურ სისტემაში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება იქმნება

გვ.9



## ამბავი ერთი მფრინავის გასაოცარი გმირობისა და თავგანწირვისა

გვ.4

## რევაზ ქარჩავას ნამუშევრები სოხუმის სამხატვრო სალონში

გვ.8



## ბაქურ სვანიძე: ხუნტრუცა თინავ! რეგვენთა და დემაგოგთა ბანდა ხართ!

გვ.11

# დასავლეთის ორმაგი სტანდარტი და ქართველთა ილუზია

დასავლეთისთვის, ყველა **„სიკეთესთან“** ერთად, ჩვეულებადაა ქცეული ორმაგი სტანდარტები, რაც პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებულ საზოგადოებას ხშირად აბნევს და ცრუ ილუზიას უქმნის. საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც რახანია ამ ილუზიებით ცხოვრობს. არადა, თუ საქმეში ღრმად ჩახედული არ ხარ, ვერაფრით გაიგებ დასავლელი პოლიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრება – როდის იყო მართალი ან როდის შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ხალხს ვერ მოსთხოვ საგარეო პოლიტიკის პერიპეტიებში კვლევა-ძიებას, მას ცხოვრებისეული პრობლემები აწუხებს. ხალხს განმარტება პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა უნდა გაუკეთონ, მაგრამ არიან კი ჩვენში საგარეო საქმეებში გათვითცნობიერებული პოლიტიკოსები ან ექსპერტები?

რომ იყვნენ, ურთიერთგამომრიცხავი აზრების, თანაც უმწიფარის ფრქვევას ადგილი არ ექნებოდა. არც ხალხის მოტყუებას ექნებოდა ადგილი.

მავანი შემედავება, ისინი შეგნებულად აკეთებენ ამასო. გეთანხმებით – მათი განცხადებები აშკარა მანიშნებელია ამისა, მაგრამ ამასთანავე მცირედით მაინც ვუშვებ დასავლელი პოლიტიკოსების მიერ ნათქვამის დაჯერებას. საქართველოს პოლიტიკას სჯერა დასავლეთის, ვინაიდან მას უნდა სჯეროდეს, ბოლოსდაბოლოს ტყუილად ხომ არ აძლევს დასავლეთი მსუყე დაფინანსებას?

საქართველოს პოლიტიკას სჯერა დასავლეთის და მას უნდა სჯეროდეს, მიუხედავად იმისა გულში სჯერა თუ არა. დასავლეთის დაჯერება ხომ ტკბილი საჯარო თანამდებობის გარანტიაა?!

საქართველოს ხელისუფალთ, საერთოდ პოლიტიკას მართლაც სჯერა დასავლეთის, რამეთუ ტყუილის დაჯერება დასაწყისშია ძნელი, მაგრამ თუ შუბლის ძარღვს გაიწყვეტ, შემდეგ გჯერა და გჯერა. გჯერა საკუთარი ტყუილის – საკუთარი სკამისთვის, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის, საკუთარი უახლოესი ნათესაურ-მეგობრული წრისთვის, მაგრამ არა ქვეყნისთვის. ამ შემთხვევაშიც **„თაოდათაოს“** პრინციპი მოქმედებს.

სწორედ ასეთ დაჯერებას უნდა მიეწეროს ხალხის არცთუ მცირე ნაწილის აგრესიული განწყობა მეზობელი რუსეთის მიმართ – რომ ის აგრესორია. დაჯერებას უნდა მიეწეროს საქართველოს **„წარმატებები“** საერთაშორისო არენაზე, რასაც უცხოური კვლევითი ცენტრების ინფორმაციით ვიგებთ.

თუ რას ნიშნავს ეს რეიტინგები, ხალხმა არ იცის. შეიძლება არც პოლიტიკოსმა იცოდეს, ვინაიდან მას არ აქვს წაკითხული **„ეკონომიკური მკვლელი“** – ამერიკული საიდუმლო სამსახურის ყოფილი თანამშრომლის ჯონ პერკინსის (**John Perkins**) მიერ დაწერილი წიგნი, სადაც ავტორი ამხელს ამერიკული მსხვილი კორპორაციების, ბიზნესის, ხელისუფლების მზაკვრობას ჩვენნაირი ქვეყნების მიმართ.

ამა თუ იმ ქვეყანაში მომუშავე ამერიკული კორპორაციების წყალობით, მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური რეიტინგები იზრდება. ქვეყნის ხელისუფლებას თვითკმაყოფილების გრძნობა იმონებს და უეცრად ქვეყანა ბანკროტი ხდება, ვალებს ველარ იხდის და იძულებულია თავიდანფეხებამდე მიეყიდოს დასავლეთს.

ხალხი, ცხადია, გრძნობს, ხედავს, რომ ე.წ. ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, მისი ცხოვრება იოტისოდენადაც არ შეცვლილა უკეთესობისკენ, თუმცა მაინც რაღაცის იმედი აქვს და საკუთარ თავს ადანაშაულებს დაუნახაობაში.

დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებების დაჯერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას რეალური გადაწყვეტილებები მოჰყვება. მაგალითად, ავიღოთ საქართველოს ნატოში გაწევრება. რახანია საქართველო ნატოს კარზე ძუძგურობს. ბრიუსელი გვეუბნება – თქვენთვის ნატოს კარი ღიააო, მაგრამ კარის ზღურბლს ვერ გადავაბიჯეთ. არადა, ხომ გვეუბნებიან, ხშირად დაბეჯითებითაც. ჩვენი ხელისუფლებაც იჯერებს, ვინაიდან უნდა დაიჯეროს, რამეთუ საკუთარი ხალხისთვის აქვს დაპირება მიცემული – ნატოში შეგიყვანთო.

ხელისუფლება, წინადადების – გრძელის და ჩახლართულის, ბოლომდე გაგების სურვილს არ გამოხატავს და წინადადების დასაწყისით კმაყოფილდება. დასაწყისი კი პოზიტიურია, ბოლო – ნეგატიური. ავიღოთ გერმანიის ვიცე-კანცლერის და საგარეო საქმეთა მინისტრის შტაინმაიერის მიერ თბილისში გაკეთებული განცხადება: **„გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრებას. თუ თქვენ ნატოში გაწევრიანების გრძელვადიან პერსპექტივებზე საუბრობთ, არსებობს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შეთანხმება. გერმანია ამას მხარს უჭერს“**.

შტაინმაიერის საქართველოში ვიზიტამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი იმყოფებოდა გერმანიაში. გერმანიის კანცლერ მერკელთან შეხვედრის დროს მასპინძელმა თქვა, რომ გერმანია ვერ ხედავს საქართველოს ნატოში. ვის დავუჯეროთ?

ალბათ მერკელს, ვინაიდან ის კანცლერია, შტაინმაიერი ვიცე-კანცლერი და სხვა პარტიის წარმომადგენელი, თანაც არცთუ იშვიათად მისი აზრები არ ემთხვევა მმართველი პარტიისას. შტაინმაიერმა უკმაყოფილება გამოხატა ნატოს მიერ აღმოსავლეთ ევროპაში – რუსეთის საზღვრებთან ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრების ჩატარების გამო – რუსეთს გააღიზიანებსო, თუმცა ამით მანევრების ჩატარების ადგილი არ შეცვლილა და მასში გერმანიამაც მიიღო მონაწილეობა.

შტაინმაიერმა დიპლომატიური ხერხი გამოიყენა აზრის ჩამოყალიბებისთვის, ისე, რომ მასპინძლებს არ წყენოდათ. მან მხარი დაუჭირა ბუქარესტის 2008 წლის გადაწყვეტილებას, რომელიც გრძელვადიანია და არვინ იცის შესრულდება თუ არა საქართველოს ნატოში უახლოეს ვადებში გაწევრიანების პირობა.

გვერდზე გადავდოთ დიპლომატიური ლექსიკა და თვალი შევავლოთ რეალობას. თუ ვინმე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ნატოში შესვლას, უპირველესად გერმანია იყო და არის, საფრანგეთთან ერთად, რაც ფაქტია. დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით – მოგცემთო, ამბობენ, მაგრამ როდის? თითქოს ვადასაც აცხადებენ...

დასავლურმა ორმაგმა სტანდარტებმა იმდენად მოაბეზრა თავი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, რომ სულ ახლახანს ტელევიზიით გამოვიდა და თქვა – **„დასავლეთი საჯაროდ კიცხავს სირიის ხელისუფლებას, მლანძღავს და ამბობს, რომ ჩვენთან არავითარი კავშირი არ ექნებათ. სინამდვილეში კვირა ისე არ ჩაივლის, რომელიღაც დასავლური ქვეყნის მაღალჩინოსანი არ ჩამოვიდეს დამასკოში ჩემთან შესახვედრად“**. ეს განცხადება ასადმა ავსტრალიელ მაღალჩინოსანთან საუბრის შემდეგ თქვა. და მართლაც რამდენ დახურულ ვიზიტს ჰქონდა ადგილი დამასკოში, ვინ მოთვლის?

დასავლელებს სტუმარ-მასპინძლობისთვის შესაფერისი ლექსიკაც აქვთ შემუშავებული, რისი მოწმეც არაერთხელ ვყოფილვართ. შინ, უმკაცრეს დამოკიდებულებას გამოხატავენ საქართველოს მიმართ – მარტო ქართველ ქურდებთან დაკავშირებით ნათქვამი რად ღირს. საქართველოში ყოფნისას მათი ლექსიკა კარდინალურად იცვლება – რბილი განცხადებებით, რომ კრიმინალი ხელს არ შეუშლის საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მიღებაში.

არადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კაზნიოვმა ერთი თვის წინ ლამის დაიგინა – უვიზო მიმოსვლას არც დღეს, არც ხვალ და არც მომავალ თვეებში არ გარგუნებთო. გერმანიასთან ერთად შევთანხმდით, რომ ასე იქნებაო. შემდეგ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დე მეზიერმა ისეთი ფაქტები დაასახელა, უვიზო მიმოსვლა კი არა, ლამის გერმანიაში პატიოსნად მცხოვრებ ქართველობას შეექმნა პრობლემები.

სტუმრად მყოფმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ საქართველო უდავოდ მიიღებს უვიზო მიმოსვლას. ვის დავუჯეროთ?

ალბათ დე მეზიერს, რომლის კომპეტენციაა სავიზო საკითხები. მაგრამ ჩვენ იმისა გვჯერა, ვინც დადებითს იტყვის. ალბათ დადგება დრო, როდესაც საქართველოს მოსახლეობა გვარიანად გათვითცნობიერდება დიპლომატიურ ლექსიკაში, პროტოკოლური სიტყვების მნიშვნელობაში, ნათქვამის გაანალიზებაში და იმის გათვალისწინებაში, სად, როდის და რა ვითარებაში იყო წარმოთქმული მავანი დასავლელი პოლიტიკოსის სიტყვა, მანამდე კი მოგვიწევს დადებითი ნათქვამით აღტაცება და უმალ მისი საწინააღმდეგო უარყოფითის მოსმენა, რაც უდავოდ იწვევს ნერვიული სისტემის მოშლას, მაღალ-დაბალი წნევის ინტენსიობის გაზრდას და ცხადია გულსისხლძარღვთა დაავადებას.

ზოგიერთი დასავლელი რომ დღეს ამბობს საქართველოს ნატოში ვერ ვხედავო, გუშინწინ, გუშინ ეთქვა – ჩვენთვისაც ჯობდა და ქვეყნისთვისაც. ბოლოსდაბოლოს სხვა გამოსავალს ვნახავდით, სხვას მივადგებოდით.

ააა, აი, ასეთი აზრი რომ არ მოგვსვლოდა თავში, იმიტომაც გვატყუეს მრავალი წლის განმავლობაში. უაღრესად ცუდი საქციელია დასავლელთა მხრიდან, არანაკლები, მასზე აყოლილი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. მხოლოდ იმედით დაპურება და ცხელ წერტილებში საქართველოს მოქალაქეთა საზარბაზნე ხორცად გამოყენება დიდი ვერაფერი საქმეა. ვერც ნატოს სამხედრო-სასწავლო ცენტრის გახსნა მოგვანიჭებს შვებას, პირიქით თავსატკივარს გვიჩენს – რუსეთის შემხედვარეს.

ერთადერთი, რასაც შეუძლია სიმშვიდის მოგვრა – სიმართლის თქმაა. ერთხელ გვეწყინება, მივეჩვევით და განვაგრძნობთ ცხოვრებას, თორემ მოლას ვირის მდგომარეობაში ყოფნა თუ რით მთავრდება შეგახსენებთ – მოლამ ვირი ჭამას გადააჩვია, თივას ცხვირწინ უტრიალებდა, მაგრამ არ აძლევდა. სირბილით და შიმშილით დაოსებულმა სახედარმა ვერ გაუძლო ექსპერიმენტს და ერთ მშვენიერ დღეს გარდაიცვალა.

მოლას ვირის ტრაგიკულ ისტორიას **„გონებაგახსნილი“** დასავლელი ვერ გაიგებს. იქნებ ჩვენმა **„ბრძენმა“** ხელისუფლებამ აუხსნას მას ამ ისტორიის სიბრძნე?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ყოჩაღ, ზუგდიდელებო!

**სირიამდე ჩამოაღწია სამარცხვინო ამბავმა, რომ ე.წ. ხელისუფლების (აწ ჩამაღლებულ) მასონ, ტირან შევარდნაძის ხუნტის გამგრძელებელ ბნედიან სააკიანცის ბანდამ ზუგდიდის მაჟორიტარად ოფიციალურად დაასახელა მიხელ სააკიანცის მეუღლის სანდრა რულოვსის კანდიდატურა. ამერიკელთა ეს გახრწნილი აგენტი აპირებს ზუგდიდის მოსახლეობის „ინტერესების დაცვას“ ე.წ. პარლამენტიდან.**

**ეს ქართველების სისხლიმსმელი დედაკაცი მერამდენედ აპირებს მოსახლეობის გასულელებას და აბუჩად აგდებას?**

**მოგმართავთ ზუგდიდის მოსახლეობას:**

**იმას რაც საქართველოში მოხდა, ან რაც დღეს ხდება ზუგდიდში, ცივილიზებულ სამყაროში გონიერი ადამიანი სახელს ვერ მოუძებნის.**

**ზუგდიდელებო!**

**თუ თქვენ ამ სადისტ დედაკაცს, ქართველი ერის დაუძინებელ მტერს, ჩვენი ბიჭების ორგანოების გამყიდველს აირჩევთ დეპუტატად, ჩვენი ერის ისტორიაში შავ ლაქად დარჩებით და რომლის გახსენებაც სირცხვილის ალით დასწვავს თქვენს შთამომავლობას!**

**იმ შემზარავი უსამართლობის, შეგინებული ვაჟკაცობისა და თავლაფდასხმის შემდეგ, რომელიც მთელ საქართველოს და ზუგდიდს დაატეხა თავს ნაცბანდამ, როგორ ვიფიქრებდით რომ გული მოგიბრუნდებათ ამ ტირანებზე და მკვლელებზე.**

**რა პასუხს გასცემთ საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას სულს? რა პასუხს გასცემთ სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილ დიდ მერაბ კოსტავას სულს? რა პასუხს გასცემთ საქართველოსთვის ჩაცხრილულ გოგო-ბიჭებს?**

**წყეული იყოს, ყველა ის ზუგდიდელი, ვინც ხელჰყოფს ქართულ სხეულს, და საერთოდ საქართველოს და ქართველ ერს. დიდმოწამე გიორგის ძლევამოსილი მახვილით შეიმუსრება ყველა და ყოველი, ვინც უდიერად მოექცევა ქართულ მიწას.**

**მთელ ქართველ ერს კი, მოგიწოდებთ რომ ვიაროთ ღმერთის გზით და ღმერთი, მაშინ, იქნება ჩვენთან. ამინ!**

**საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას „კავკასიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის“ 3.035 მეომარის სახელით, სამშობლოს მოღალატეების მიერ ნაწამები, დასახიჩრებული, საკუთარი ქვეყნიდან განდევნილი:**

**ლაშა გამსახურდია, ლადო ბოკუჩავა, ამბროსი ქარდავა, გერონტი ბუბუნავა, მერი ბუბუნავა, მანანა დავითაია, ზაზა ჟორდანია, რამაზ თოდრია, კაკო გელანტია, გიორგი გალადავა, ლაშა ნოდია,ნიკა გერგედავა**
**სირია, დამასკო**

### სამადლობელი წერილი

თქვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერი, რომელშიც ჩვენი წერილებია დაბეჭდილი, საქართველოდან აშშ-ში გადააგზავნა ეროვნული მოძრაობის ერთგულმა და პატრიოტმა ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა, ამერიკიდან კი, ჩვენთვის სანდო და საიმედო ახალგაზრდებმა ლევან ჯავახიშვილმა და გიორგი სვანაძემ მოგვაწვდინეს სირიაში.

ულრმესი მადლობა, ბატონო, როლანდ, თქვენ და გაზეთ **„ილორის“** თანამშრომლებს!

ასევ ვისარგებლებთ შემთხვევით და თქვენივე გაზეთის საშუალებით მადლიერებას გამოვხატავთ ქალბატონ ეთერ მგალობლიშვილს და ეროვნული მოძრაობის ყველა იმ წარმომადგენლის მიმართ, ვისაც არ უღალატიათ სამშობლოსათვის და ბატონ ზვიად გამსახურდიას იდეებისათვის!

დიდია დღევანდელი განსაცდელი საქართველოსი! მაგრამ, ჩვენი რწმენა, დიდი ზვიადის, მერაბის მიერ არჩეული მართალი გზისა, ქრისტეს გზისა, შთაგვბერავს ძალას და მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენ გვსურს ვაშენოთ სამართლიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენ ერთობას და ურთიერთობას (იგულისხმება სირიაში მებრძოლი 134 ქვეყნის 60.000 მეომარი) ვერ შეარყევს მასონური ამერიკის, ევროპის შეიარაღებული ბანდა!

## რატომ მოითხოვს დასავლეთი ჩვენს გარდაქმნას? — *დიდოსტატის პასუხი*

კეთილო ფრაუ,

თქვენ ევროპელები ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნათ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ. ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და ეს თქვენ მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისთვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ.

თქვენ ბევრი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იგივე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჟანი და ჰანსი გვერქვას.

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენაზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შევეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ და ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ და თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ და თუ ჩვენ მათზე თავდასხმას გავბედავთ, მაშინ უთუოდ მეკობრეებს გვიწოდებთ, როგორც ძველი ბერძნები. რაც შეეხება ჩანგალს, მე მანამდის ხელით ვსჭამ, ვიდრე ჩვენსავე ქარხნებში გაკეთებულ ჩანგლებს არ მომიტანენ.

ჩანგლის ხმარებაში, კეთილო ფრაუ, არც ისე დიდი ფილოსოფიაა. ჩვენ ძველ კოლხიდაშიც გვცოდნია ფიწლის ხმარება. ვინც ამას მიხვდა: ხელით მობოჭვას თივისას, ფიწლით აღება რომ სჯობია, საჭირო რომ ყოფილიყო, უთუოდ იმასაც მიხვდებოდა, ხელით ჭამას, ჩანგლით ჭამა რომ სჯობია.

**კონსტანტინე გამსახურდია,**
**„მთვარის მოტაცება“**

# ნაციონალური თამაშები „იავნანას" მოტივებზე

*„მართალია მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდების!"*
**დ. გურამიშვილი**

ოდესის ოლქის გუბერნატორმა მ. სააკაშვილმა თავისი პერსონის უკვდავსაყოფად და დაბადების დღის აღსანიშნავად დაცვის წევრს – დენის რუდენკოს თავისი გამოსახულებიანი მონეტების დამზადება დაავალა ოქროს, ვერცხლის და სპილენძისაგან, რათა ყოველივე მადლიერი ხალხის ინიციატივით აეხსნათ. **„კაშჩეი ბესმერტნის"** სინდრომით შეპყრობილმა ფსიქოპათმა რეანიმაციის ვერაგული გეგმაც ჩაიფიქრა და **„ნაცების"** პარტიულ სიაში მე-2 ნომრად თავისი მეუღლე – სანდრა რულოვსი შეიყვანა. ამ ფაქტმა თავად ნაცბანდის წევრებიც კი შეაშფოთა. მათგან განსხვავებით **„ოცნებისტმა"** ვინმე **„ქუცნამ"** არ გაითავისა **„ნაცების"** შეშფოთება და სანდრას **„ჩემთვის პატივსაცემი პიროვნება"** უწოდა.

არაერთი ინფორმაცია გავრცელდა სანდრა რულოვსის შესახებ, რომელიც ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი. **„ვიკილიქსი"** აქვეყნებს ინფორმაციას: **„პარტიის წევრები აღშფოთებულები არიან იმით, რომ სანდრა აქტიურად ჩარეული იყო ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში დასავლეთში. ამ ბიზნესს საფუძველი ჩაეყარა მისი ქმრის პრეზიდენტობის დროს საქართველოში. ქართველი საზოგადოებრიობა არაერთხელ აღნიშნავდა, რომ პირველი ლედის საყვარელი საქმიანობა 2006 წლიდან იყო ქალებისათვის საშვილოსნოსა და საკვერცხეების ამოჭრა საპატიმროებში. სანდრას შავი ტრანსპლანტატოლოგები წარმატებით მუშაობდნენ და გამოიმუშავებდნენ მილიონებს დაჭრილი უკრაინელი ჯარისკაცებისა და ტყვეების ორგანოებით ვაჭრობით, ოდესის გუბერნატორის მფარველობის ქვეშ. უკრაინის აღმოსავლეთით საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის შვილის – ბილალა ერდოღანის მხარდაჭერით ბიზნესი გადაიტანეს სირიაში, ისლამურ სახელმწიფოში – დაიშში. ასეთი „კეთილშობილური" საქმიანობისათვის სანდრას ხალხმა „ყასაბი ყაურმოვნა" შეარქვა".**

აღნიშნული ინფორმაციებით ხელისუფლება არ დაინტერესდა, მეტიც, უზნეო კანონში ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ ცვლილება შევიდა, რის შედეგადაც ვაჭრობას ბარიერები მოეხსნა და ცოცხალი ორგანოების ტრანსპლანტაცია დააკანონეს. ეს კანონი, ფაქტიურად, ქვეყანაში კრიმინალის გაზრდისა და სააკაშვილის ბიზნესის გაფართოებისაკენ არის მიმართული. **„ვიკილიქსი"** აქვეყნებს ექსპრეზიდენტის საუბარს ნაცკანიბალებთან – კეზერაშვილთან და ადეიშვილთან, სადაც მიშა აანონსებს სანდრას გამარჯვებას არჩევნებში და აღნიშნავს: **„სანდრა რომ არ ყოფილიყო, მაგ ბიზნესს სხვა გააკეთებდა. პუტინის და პინგვინას შეკვეთა დაარქვით და ასე! „ნანას" უმღერებს სანდრა მეგრელებს და ვსიო"**. სანდრას მეგრული **„ნანა"** დიდი ხანია გადაფარა სამეგრელოს ტყეებში გაუპატიურებული მეგრელი მამაკაცების კივილმა, პალიასტომის ტბაში ჩახოცილი ადამიანების გმინვამ და კიდევ რა უნდა მოხდეს უარესი სამეგრელოში ცნობიერებამოწამლული, სანდრასთვის ტაშისდამკვრელი ადამიანები რომ გამოაფხიზლოს? სამეგრელოს წიაღში არაერთი ეროვნული გმირი აღიზარდა, მათ შორის ცოტნე დადიანი – ქვეყნისთვის თავგანწირვის სიმბოლო; გიორგი ჭყონდიდელი – შორსმჭვრეტელი, ქვეყნის ერთიანობის იდეოლოგი და ჭეშმარიტი ქართველი. წარმოუდგენელია გმირული წარსულის მქონე ქვეყანაში კრიმინალებსა და ორგანოებით მოვაჭრეებს ტაშს უკრავდნენ! კეზერაშვილსა და მიშას საუბარში იკვეთება, რომ ადამიანთა უბედურების ხარჯზე ეს კანიბალები თვეში 12 მილიონზე მეტს გამოიმუშავებდნენ. რუსეთის გააქტიურების შედეგად საზღვრებზე კონტროლი გამკაცრდა და **„სვეჟი ტრუპების და დაჭრილების გადაყვანა გართულდა. თან თურქებს ეშინიათ რომ მაგათ არ დაბრალდეთ ორგანოებით ვაჭრობა"** – (კეზერაშვილი). საუბარში არაერთხელ გაიჟღერა სანდრას სახელმაც, რომელმაც უნდა დაარეგულიროს საქმე დასავლეთთან, რათა მასალა (123 ქალი და 96 ტყვე) არ გაფუჭდეს.

დიახ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში კანიბალები იდგნენ 10 წლის მანძილზე და ამიტომაც არაფრად უღირდათ ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლე. მათ საქართველო პირტიტველა ბიჭების საფლავებით გაავსეს და ამით თავსაც იწონებდნენ ამერიკელი კანიბალების წინაშე, ხოლო ქართველი ხალხი ლამის მონად გაიხადეს! ახლა კი ნაცნაბიჭვრებმა კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნება მოისურვეს და ფარად სანდრას **„ნანა"** აიფარეს, ისევე, როგორც ლეღვის ფოთოლი პაატა ბურჭულაძის სახით, რომელიც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" ხელმძღვანელობს. როგორც საინფორმაციო წყაროები მოწმობენ, პაატა ბურჭულაძე იძულებული გაუხდია კრიმინალ მიხეილ სააკიანცს თავისივე გადაწყვეტილების მძევალი გამხდარიყო, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. სანდრას მეგრული **„ნანა"** და ბურჭულაძის **„იავნანა" „ნაცების"** იაფფასიანი ფანდია იმ ხალხის ნდობის მოსაპოვებლად, რომელმაც კრიმინალურ ხელისუფლებას 2012წ. ოქტომბერში პოლიტიკური საფლავი გაუთხარა და მიწაც მიაყარა. დახ, ნაცნაბიჭვრები ამერიკელმა კანიბალებმა მოახვიეს თავს საქართველოს ქვეყნის დასანგრევად და კიდეც მოახერხეს საქართველოს დაშლა 3 ნაწილად. გენიალური ფსიქოანალიტიკოსი გიორგი კლიმოვი თავის ნაშრომებში აღნიშნავს: **"ქვეყნის დასანგრევად ერთი დეგენერატი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ატომური ბომბი"**. სწორედ ასეთ დეგენერატთა რიცხვს განეკუთვნება მ. სააკოვი და როგორც **„ბოროტი ხმები"** მოწმობენ, მის შესახებ მაღალი დონის პროფესიონალთა სამედიცინო დასკვნაც არსებობს. მსგავს არსებებს კი ამერიკელები სპეციალურად არჩევდნენ ფულის სანაცვლოდ თავიანთი უწმინდური ინტერესების გასატარებლად. როგორც ცნობილია, 2008 წლის ომისა და ქართველი ბიჭების ჩახოცვის ხარჯზე სააკოვმა 5 მილიარდი დოლარი მიიღო **"ჯილდოდ"**.

ამერიკელი ჟურნალისტი და მკვლევარი – ჯეფრი სილვერმანი ქართველებისთვის თვალის ახელას ცდილობს და ამბობს: ქართველები ამერიკის შესახებ მხოლოდ ზღაპრებს ჰყვებიან. ჩვენ ფილიპინებში გასანთავისუფლებლად შევედით, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა დავხოცეთო.

ამერიკელთა დაკვეთა რომ არ შესრულდეს, როგორც 2012 წელს იყო აუცილებელი ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგომა, რათა ნაცები მოუსავლეთში გაგვესტუმრებინა, ისევეა დღეს საჭირო იმ იდეის გარშემო გაერთიანება, რომელიც რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას ისახავს მიზნად. საქართველოს ხელისუფლება, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლები არა ხალხის, არამედ ამერიკის დაკვეთებს ასრულებენ ფულის სანაცვლოდ. ამის შედეგია, რომ კრიმინალური **„ნაცსექტა"** სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციეს. მიუხედავად ხელისუფლების დაპირებისა, რომ მათ დასჯიდა, შექმნა პროკურორთა საბჭო, სადაც ათიდან ცხრა ნაციონალია და ამ ღონისძიებას რეფორმა დაარქვეს! აღნიშნული საბჭოს მთავარი მიზანი იყო განესაზღვრა მთავარი პროკურორის დამტკიცების საკითხი, რომელსაც პრეზიდენტი წარადგენდა. ამიტომ დაუჭირეს მხარი ი. შოთაძის კანდიდატურას, რომელიც **„ნაცების"** ხელისუფლების დროს ფინანსურ პოლიციაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა და განუკითხავად ახდენდა ბიზნესმენების დატერორებას და გაყვლეფას. სწორედ ქვეყნის პროკურატურის უმოქმედობამ შეიწირა იური ვაზაგაშვილი, ბესო ხარძიანი და სულხან მოლაშვილსაც არ აღირსეს სამართლებრივი შედეგი მიეღო.

სამართლებრივ სახელმწიფოში თუ გვინდა ცხოვრება, ამერიკისა და დასავლეთის დიქტატისაგან უნდა განვთავისუფლდეთ.

– განვთავისუფლდეთ...! გვიკიჟინებენ ანტიქართველი **„რესპები"** რომელნიც ჭეშმარიტად თავისუფალნი არიან ზნეობის, ეროვნული იდეოლოგიისა და პატრიოტიზმისაგან. მერწმუნეთ, ტანსაცმლიდანაც განთავისუფლდებიან და მალე გაშიშვლებულ უსუფაშვილ-ხიდაშელის ტანდემს ვიხილავთ ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, ვიხილავთ ექსმინისტრს, ანუ **„სირქალას"** (მ. სააკოვის შეფასებით), რომელიც სააკაშვილის რეკომენდაციითა და ამერიკის ინიციატივით დაინიშნა მინისტრად. **„რესპებს"** მიმდევრებიც გამოუჩნდნენ – ახალი მემარჯვენეები და მილიონზე მეოცნებე ყველაზე მძიმე წონის ეროვნული – გუბაზ სანიკიძე, რომელიც გვმოძღვრავს: **„ეროვნული ფორუმი" რჩება ჩვენი დიდი გვირგვინოსნების – ფარსმან მეორისა და დავით აღმაშენებლის არჩევანის ერთგული, ეს არის დასავლური ორიენტაცია, ურყევი, დადასტურებული"**. დასავლეთში შიშვლები რომ დარბოდნენ, ჩვენთან **„ვეფხისტყაოსანი"** იქმნებოდა – ეს დადასტურებულია; კანიბალობით და ინკვიზიციებით რომ ერთობოდნენ – ესეც დადასტურებულია. გუბაზი ისეთივე ეროვნულია, როგორც ფსიქოპათი მანიაკი მიშა სააკოვი – ქართველი. როცა გიორგი XII-მ თურქეთს, ირანსა და რუსეთს შორის არჩევანი გააკეთა და 1799 წლის 23 ნოემბერს პეტერბურგის ტრაქტატი გააფორმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-თან, რათა საქართველო გადაერჩინა, ი. ჭავჭავაძე წერდა: **„ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი აირჩია, ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიც"**. ე.წ. **„ეროვნულ ფორუმელები"** ევროპელებად იქცნენ და **„რესპების"** ნაბახუსევით იკვებებიან. ვეკითხები მათ: საბოლოოდ რომელმა არჩევანმა გაამართლა? სად იყო დასავლეთი 1921 წელს, როცა თურქეთმა ბათუმი, ოზურგეთი და ფოთი დაიკავა? სტალინმა არ განდევნა თურქები? სად იყო დასავლეთი სამამულო ომის დროს, როცა ამერიკა და ინგლისი ჰიტლერს აფინანსებდა, ხოლო დასავლეთის ქვეყნები ფაშისტური გერმანიის უღელქვეშ გმინავდა – სტალინმა არ იხსნა ამ ჭირისაგან მსოფლიო?

**„ეროვნულები"** და **„პატრიოტები"** ხალხის შეცდომაში შესაყვანად დაირქვეს პარტიებმა. რომელიმეს თუ უთქვამს პირადობის მოწმობაში ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტები დავიბრუნოთო?!

– **„ჩვენ ქართული ძალა ვართ", „ჩვენ ქართველი პატრიოტები ვართ"** – გვარწმუნებენ იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებსაც ძალიან ეშინიათ პრორუსულობა არ დააბრალონ. **„დემოკრატიული მოძრაობის"** ლიდერი – ნ. ბურჯანაძეს ქართულ ძალად ვერ მივიჩნევ. ალბათ, დაავიწყდა სააკოვის პარლამენტში პროდასავლური ძალის სტატუსით რომ მოვიდა; ალბათ ისიც დაავიწყდა, 1999წ. როცა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდებოდა, სწორედ მისი ინიციატივით ამოიღეს პირადობის მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, დასავლეთის დაკვეთით დაგვიკარგა ქართველებს ეროვნება და მამის სახელი, რაც ფაქტიურად იყო შეთქმულება ქართველი ერისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამჟამად, ხალხის განწყობა იგრძნო და სხვა ჰანგებზე ამღერდა, მაგრამ, არავინ იცის რას მოიმოქმედებს თუ ხელისუფლებაში მოვიდა. ვერც **„პატრიოტთა ალიანსის"** წევრებს მივიჩნევ ქართულ ძალად (როგორც აცხადებენ). არ შეიძლება ანტირუსული განწყობა და რიტორიკა პატრიოტობად მივიჩნიოთ. ძალა, რომელიც რუსეთს **„საერთაშორისო ბანდიტს"** უწოდებს, დასავლეთსა და ამერიკაში დარბის იდეოლოგიური მხარდაჭერის მოსაპოვებლად – როგორღაა ქართველი პატრიოტი?! მოკლედ, მათზე თავად მათი საქმენი მეტყველებენ, როცა დაფინანსების სანაცვლოდ განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკას. ერთი რამ ცხადია – რუსეთთან ურთიერთობის გარეშე საქართველო ფეხზე ვერ დადგება, სოფელი ვერ მომძლავრდება და მხოლოდ რუკაზე დახატული წარმონაქმნი ვიქნებით, ეროვნული იდეოლოგიის გარეშე. სსრკ-მ მიწათმოქმედი ქვეყნის სტატუსი შეუნარჩუნა საქართველოს (გეორგია – მხვნელ-მთესველთა ქვეყანა), ხოლო ლიბერასტ-პედერასტებმა სტატუსიც წაართვეს და მიწებიც გაუყიდეს უცხოელებზე. შედეგად მივიღეთ გაპარტახებული სოფლები და 2002 წლიდან დღემდე 222 ათასით შემცირებული მოსახლეობა.

**„არცერთი ქვეყნის მონა არ უნდა ვიყოთ"** – აღმოაჩინეს ახალმა წარმონაქმნებმა. – **„მონა ახლა ხართ, თანაც იდეოლოგიურად გაუპატიურებულნი და ვერც გიგრძვნიათ!"** რუსეთთან ურთიერთობა რატომ იყო მონობა? სად გინახავთ აყვავებული მონა? სსრკ-ს პერიოდში მთელი ქვეყნის რესურსიდან საქართველო გაცილებით მეტს მოიხმარდა, ვიდრე გასცემდა – აი, ასეთი ქვეყანა დაანგრიეს ფულის სანაცვლოდ სოციალიზმის მტრებმა, ვის ახსოვს სამშობლო, რომელიც გვქონდა?

– ჩვენმა ხელისუფლებამ (ანუ ბრიყვულმა **„ამერიკულმა ოცნებამ"**) მშვიდი ცხოვრების საშუალება მისცა საზოგადოებას – გვამუნათებს ე.წ. პრემიერი – სანაცვლოდ უზნეობას დაგიკანონებთო. ამ კანონების სანაცვლოდ ხელისუფლება 30 ვერცხლს მიიღებს ამერიკელებისაგან, ხოლო სიმშვიდე მხოლოდ მირაჟია ქარიშხლის წინ! გ. კვირიკაშვილი მინისტრია თუ **„ღირსეულ ხადურთა"** ფერმის თავმჯდომარე? თავად დასავლეთის დიბერალური სამყაროს იდეოლოგიურ საჭეთმპყრობელებს მოვუსმინოთ: **„ლიბერალი შეიძლება მინისტრი გახდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ის ლიბერალი მინისტრი იქნება"** (ვილჰელმ ჰუმბოლტი – გერმანელი მეცნიერი, მე-18ს.).

არავინ აფინანსებს ზნეობას, პატიოსნებასა და პატრიოტიზმს, არავინ გვეუბნება გიყვარდეს შენი სამშობლო და კომპენსაციას მიიღებო. ფინანსდება მხოლოდ ღალატი, უზნეობა და მტრობა ქვეყნისა, რისთვისაც დასავლეთი ფულს უხდის ხელისუფლების გადაგვარებულ წარმომადგენლებს, რომელთათვისაც პრივილეგიები და ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამშობლო. ხალხმა უნდა შეძლოს ეროვნული ძალების მოყვანა ხელისუფლებაში სულგაყიდული ანტიქართველების სანაცვლოდ, რომელნიც მხოლოდ პულტზე ხელის დაჭერის ფუნქციას ასრულებენ, ვირთხებივით ბიუჯეტს ხრავენ და არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ ძალუძთ, არც რუსეთთან დალაპარაკების უნარი შესწევთ. ნაცპრემიერისა და ნაცპრეზიდენტის ოცნებებს რეჟიმის რეანიმაციასთან დაკავშირებით სწორედ ქართველი ხალხის რეალური ქართული ოცნება დაასამარებს, რადგან იგი აკეთებს ანალიზს, რა მოუტანა საქართველოსა და უკრაინას ამ ვექტორმა და რა მოუტანა რუსეთთან კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ ბელორუსსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომელთა ხელისუფლება ამერიკელებმა იუდას ვერცხლით ვერ მოისყიდეს.

პოლიტიკური პარტია უნდა გვთავაზობდეს:

საგარეო ვექტორის ცვლილებას და რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას;

სახელფასო ფონდის პროპორციული თანაფარდობის სისტემას და არა ფიქსირებულ მინიმუმს, რომლის ზრდის პროპორციულად გაიზრდება თანამდებობის პირთა ხელფასები;

ეროვნულობის აღმნიშვნელი რეკვიზიტების დაბრუნებას პირადობის მოწმობაში – ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი შემდგომი დაპირებებისა;

უცხოელებზე გაყიდული მიწებისა და სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაციას – ეს ვალდებულება სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს.

**ია თამაზაშვილი**
**ტელ. 593 90 55 07; 2 35 91 15**

**გურიელ ჭითანავა, ლესა ჭითანავა, ზურაბ კვარაცხელია დიდი გულისტკივილით იუწყებიან**
**აბელ ჭითანავას**
**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს...**

# ამბავი ერთი მფრინავის გასაოცარი გმირობისა და თავგანწირვისა



ამბავი, რომელიც მინდა გიამბოთ, მეორე მსოფლიო ომის დროს, ავადსახსენებელ 1943 წელს მოხდა, როცა ფაშისტებმა მიიღეს მხეცური გადაწყვეტილება – დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცებისათვის დონორებად პოლოცკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გამოეყენებინათ. დაჭრილ გერმანელებს სისხლი სჭირდებოდათ, რომელიც უკვე არც ისე იოლი საშოვნელი გახდა. სად უნდა ეპოვათ ეს სისხლი? – რა თქმა უნდა, ბავშვებში და გერმანელებმა შემზარავი რამ მოიფიქრეს: საბავშვო სახლის აღსაზრდელების სისხლი დაჭრილებისათვის გადაესხათ (არ იფიქროთ, რომ ფაშისტები ბავშვების სიცოცხლეზე ზრუნავდნენ – ნავარაუდევი იყო პატარა დონორების სხეულების მთლიანად დაცლა სისხლისაგან, რაც, რა თქმა უნდა, მათ სიკვდილს გამოიწვევდა).

პირველი, ვინც ამ ვანდალური გადაწყვეტილების წინაშე ხმა აიმაღლა, ბავშვთა სახლის დირექტორი მიხეილ ფომენკო გახლდათ, მაგრამ ფაშისტებისათვის უცხო იყო სიბრალულის გრძნობა და მათ ყურიც არ ათხოვეს ბავშვების დამცველს, მაშინ მიხეილმა სხვა ხერხს მიმართა: მან გერმანელებს უთხრა: როგორ შეიძლება მშიერმა და ავადმყოფმა ბავშვებმა მოგცეთ კარგი სისხლი, რომ ჯარისკაცებს გამოადგეს? მათ სისხლში ხომ არასაკმარისია ვიტამინები და რკინა, გარდა ამისა, ბავშვთა სახლში არაა ფანჯრები, არ გვაქვს შეშა, პატარები მუდმივად გაციებული და ვირუსიანები არიან, ავადმყოფები კი როგორ შეიძლება იყვნენ დონორები? ისინი ჯერ კარგად უნდა გამოვკვებოთ, ვუმკურნალოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყენოთ დონორებად (დირექტორს უნდოდა დრო მოეგო, რომ პატარების გადარჩენის გეგმა მოეფიქრებინათ).

ბევრი ფიქრის შემდეგ გერმანელები დათანხმდნენ ფომენკოს წინადადებას. მაშინ დირექტორმა შესთავაზა მათ ბავშვები გადაეყვანათ გერმანული გარნიზონით გამაგრებულ უახლოეს სოფელში, სადაც მათ უფრო კარგად მოუვლიდნენ. გერმანელები ასეც მოიქცნენ.

პირველი შენიღბული ნაბიჯი პატარების გადასარჩენად უკვე გადადგმული იყო. ამის შემდეგ კი დაიწყო ფარული მზადება გაცილებით დიდი ოპერაციისათვის: ბავშვები ჯერ უნდა გადაეყვანათ პარტიზანულ ზონაში, შემდეგ კი თვითმფრინავით უსაფრთხო ადგილას.

მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ბავშვების დონორად გამოყენება გადაწყვიტეს, დაუწყეს მათ გაძლიერებული კვება, განუწყვეტლივ ამარაგებდნენ მედიკამენტებით და საკუთარი შვილებივით ზრუნავდნენ მათ გამოჯანმრთელებაზე, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, თუ რა მზაკვრული გეგმა იმალებოდა ამ მზრუნველობის უკან. ორი თვის შემდეგ ფაშისტების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბავშვების პირველი ნაკადი გაეგზავნათ დონორებად. დრო აღარ იცდიდა, პარტიზანები იძულებული გახდნენ დაეჩქარებინათ პატარების ევაკუაციის გეგმა.

და აი, 1944 წლის 18 თებერვლის ღამეს სოფლიდან საბავშვო სახლის 254 აღსაზრდელი, მათი 38 აღმზრდელი და იატაკქვეშა პარტიზანული ორგანიზაციის წევრები გამოვიდნენ.

ბავშვების ასაკი 3-დან 12 წლამდე იყო და ყველანი დუმდნენ ისე, რომ მათი სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა. სამი წლის პატარებმაც კი იცოდნენ, რომ მათ სასიკვდილო საფრთხე ელოდათ და შიშისაგან ხმაგაკმენდილები მოჰყვებოდნენ გვერდით უფროსებს. სულ პატარები დიდებს ხელში აყვანილი მოჰყავდათ. იმ შემთხვევისათვის, თუ ფაშისტები ეჭვს აიღებდნენ და მდევარს დაადევნიდნენ გამოპარულებს, სოფლის გარშემო პარტიზანები დარაჯობდნენ, ტყეში კი პატარებს სანიტარული **„მატარებელი“** ელოდებოდა – 35 ოთხთვალა. ოპერაციის შესრულებაში პარტიზანებს ძალიან დაეხმარნენ მფრინავები. ისინი გამუდმებით ტრიალებდნენ პოლოცკის თავზე, იქცევდნენ რა ამით გერმანელების ყურადღებას და ახშობდნენ რაზმის გადაადგილებით გამოწვეულ სრულიად უმნიშვნელო ხმაურს.

ბავშვები სასტიკად იყვნენ გაფრთხილებული – თუ ცაზე გამოჩნდებოდა მანათობელი რაკეტები, ისინი დაუყონებლივ მიწაზე უნდა დასხდარიყვნენ გაუნძრევლად. მთელი გზის განმავლობაში ასეთი ჩაჯდომა რამდენჯერმე მოუხდათ.

ბავშვები წარმატებულად დააბინავეს სანიტარულ ნაწილში, მაგრამ აქ მათი დარჩენა არ შეიძლებოდა, რადგან ფაშისტებმა დილითვე აღმოაჩინეს დანაკარგი და გამძვინვარებული ეძებდნენ ხელიდან დასხლეტილ პატარა დონორებს. საჭირო იყო ბავშვების სასწრაფოდ გადაყვანა ფრონტის ხაზს მიღმა.

დასახმარებლად მფრინავთა მესამე არმია მოევლინათ, მისმა მფრინავებმა სასწრაფოდ დაიწყეს ბავშვების გაყვანა ფრონტის ხაზიდან. თვითმფრინავებში 10 კაცის მეტი არ ეტეოდა, ამიტომ ფრთების ქვეშ სპეციალურ კაფსულა-აკვნებს ამაგრებდნენ დამატებითი ადამიანების მოსათავსებლად. ზოგადად ოპერაციის მსვლელობის დროს სულ გაყვანილი იქნა 500-მდე ადამიანი – ბავშვები, დაჭრილები, პარტიზანების ოჯახის წევრები...

მაგრამ მე მინდა ერთ გაფრენაზე მოგითხროთ – სულ უკანასკნელზე, რომელიც გახდა მაგალითი ადამიანის გასაოცარი სულის სიმტკიცისა და გაუგონარი გმირობისა.

საბედისწერო გაფრენა 10 აპრილის ღამეს მოხდა. ბავშვები მფრინავს, გვარდიის ლეიტენანტ ალექსანდრე მამკინს გადაჰყავდა. 28 წლის მფრინავი უკვე საკმაოდ გამოცდილი იყო – მას არაერთ საბრძოლო ოპერაციაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

ასაფრენ ზოლად ჯერ კიდევ გაყინული ტბა გამოიყენეს. თვითმფრინავში ათი ბავშვი, მათი აღსაზრდელი ვალენტინა ლატკო და ორი დაჭრილი პარტიზანი მოთავსდა.

თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ფრონტის ხაზის გადაკვეთის დროს მამკინის თვითმფრინავს გერმანელებმა ჭურვი მოარტყეს. მას ცეცხლი წაეკიდა. ფრონტის ხაზი უკან დარჩა, მაგრამ P-5 იწვოდა. მამკინი რომ მარტო ყოფილიყო, სიმაღლეს ასწევდა და პარაშუტით გადმოხტებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მას საკუთარი თავის გარდა 13 ადამიანის სიცოცხლე ებარა და მფრინავი სულაც არ აპირებდა ბავშვების დაღუპვას საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად...

და მამკინი მიფრინავდა ცეცხლმოდებული თვითმფრინავით. მალე გაძლიერებულმა ცეცხლმა პილოტის კაბინაში შეაღწია, მაღალი ტემპერატურისაგან გადნა დამცავი სათვალეები და ის კანში ჩაეწვა მფრინავს, იწვოდა ტანსაცმელი, იწვოდა და ნახშირდებოდა დამცავი მუზარადი, შავი კვამლისაგან ხედვა სულ უფრო და უფრო ჭირდა, ფეხებისაგან მხოლოდ დანახშირებილი ძვლები დარჩა, მაგრამ მფრინავი, აუტანელი ტკივილის მიუხედავად, მაინც მიფრინავდა, მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა – ბავშვები უნდა გადაერჩინა.

მფრინავს მითიურ ძალას აძლევდა ბავშვების ტირილის ხმა, რომელიც პილოტის კაბინის უკან ისმოდა – პატარებს ცეცხლის ეშინოდათ, მათ არ უნდოდათ სიკვდილი.

მამკინს თვითმფრინავი უკვე ბრმად მიჰყავდა, ითმენდა რა არაადამიანურ ტკივილს. ნახევრადდამწვარი მფრინავი მყარად იდგა ბავშვებსა და სიკვდილს შორის. როცა მან საბრძოლო მანქანა რაღაც სასწაულით დასვა მინდორზე, პირველი და უკანასკნელი კითხვა იყო: **„ბავშვები ცოცხლები არიან?“** და როცა პასუხად მიიღო – **„ყველა ცოცხალია“,** მშვიდად დახუჭა თვალები და გრძნობა დაკარგა. მფრინავი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

ექიმები განცვიფრებული დასქცეროდნენ მფრინავის სხეულს და გაოცებისაგან თვალებს არ უჯერებდნენ: როგორ შეეძლო თვითმფრინავის მართვა და წარმატებულად დასმა ადამიანს, რომელსაც თვალებზე დამწვარი სათვალეების მასა ჰქონდა გადაკრული, ხოლო მისი სხეულის ქვედა ნაწილისაგან მხოლოდ ძვლები დარჩენილიყო? როგორ დაძლია მან ასეთი ტკივილით გამოწვეული შოკი ისე, რომ შეინარჩუნა ცნობიერება? – კითხვაზე პასუხს ვერავინ სცემდა.

ალექსანდრე მამკინი მის მშობლიურ სოფელ მაკლოკში (სმოლენსკის რაიონი) დაკრძალეს. მის საფლავზე დღემდე იკრიბებიან ის ადამიანები, რომელთაც მან საოცარი გმირობისა და თავგანწირვის ფასად სიცოცხლე აჩუქა.

**მ. კორტავა,**
**კრასნოდარი**

# ფსხუ — 1942 წლის 9 სექტემბერი



ამას წინათ გადავათვალიერე ჩემი არქივი და უცებ თვალში მომხვდა გაზეთის მონაგლეჯი, სადაც წავიკითხე პუბლიკაცია სათაურით: **„ფსხუ – 1942 წლის 9 სექტემბერი“**. ავტორი გახლავთ სოფ. ფსხუს განთავისუფლებისა და სანჭაროს უღელტეხილისთვის ბრძოლების მონაწილე – ბატონი გენადი დარსალია.

პუბლიკაცია საგულისხმოა არამარტო ფსხუს განთავისუფლებისთვის მიმდინარე ბრძოლებით, არამედ ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების, მათი ურთიერთობების აღწერით.

სოფელი ფსხუ მდებარეობს მდინარე ბზიფის ულამაზეს ხეობაში, აფხაზეთისა და კრასნოდარის მხარის საზღვარზე. ხმაურიანი ბზიფის სანაპიროზე თვალწარმტაცი ბაღები და ლამაზი სახლები იყო ჩამწკრივებული. აქ ერთად ცხოვრობდნენ აფხაზები, ქართველები, უკრაინელები. ისინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოვიდნენ ამ მიყრუებულ ადგილას, დასახლდნენ, შეეთვისნენ ერთმანეთს, აქაურობას. მშვიდობიან დროს ერთსულოვნად და კეთილსინდისიერად შრომობდნენ ერთად. ომის წლებში კი თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს ფაშისტებისგან. **„ფსხუდან მთის ბილიკებით უმოკლესი გზებია გუდაუთამდე და სოხუმამდე და ამიტომაც, გერმანელებმა ფსხუში შექმნეს თავიანთი საყრდენი პუნქტი, სამხედრო ბაზა, შავი ზღვის ნაპირებისაკენ შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად“** – ასე აგვიწერს 1942 წლის აგვისტო-სექტემბრის ამბებს საბჭოთა კავშირის გმირი, ცნობილი მზვერავი, სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი – ვლადიმერ კარპოვი თავის ნაშრომში – **„ღრუბლებზე მაღლა, ნაომარი გზებით“**. რესპოდენტი გენადი დარსალია აღნიშნავს, რომ სანჭარის უღელტეხილზე გააფთრებული ბრძოლების დროს მძიმედ დაჭრილი და გრძნობადაკარგული გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. მეორე დღეს აღმოჩნდა სანატორიუმ **„გულრიფშში“,** სადაც იმ დროს განთავსებული იყო საველე ჰოსპიტალი, სამედიცინო პერსონალის ძალისხმევამ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სანჭარის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან – 3000 მ.) საომარი მოქმედება 1942 წლის 25 აგვისტოს დაიწყო. მდინარე ლაბას დაბლობზე მოწინააღმდეგემ გადმოისროლა მეოთხე სამთო მსროლელი დივიზიის გაძლიერებული პოლკი და მცირე წინააღმდეგობის დაძლევით, მოიწევდა სამხრეთისაკენ, საქართველოსკენ. 28 აგვისტოს დაიკავა სოფელი ფსხუ, ხოლო 29 აგვისტოს ავიადესანტის გადმოსხმით, დოუპსა და აჭვჭარის უღელტეხილებამდეც მოაღწია. ჰიტლერელთა ურდოებს წინ აღუდგა სახელოვანი 46-ე არმია, გენერალ კონსტანტინე ლესელიძის სარდლობით და მტერი მთებს იქეთ გადარეკა. გერმანელი ფაშისტებისაგან სოფელ ფსხუს განთავისუფლების დღე – 9 სექტემბერი, რესპუბლიკის მასშტაბით სადღესასწაულო დღედ იქცა. ამ დღესთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის თაოსნობით, 1970 წლიდან სისტემატურად, ყოველ წელს ეწყობოდა ნაომარი ადგილების მონახულება უღელტეხილზე დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად.

ბატონი დარსალია განაგრძობს: **„ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება შთაბეჭდილება, რომელიც პირადად განვიცადე 1978 წლის სექტემბერს. ამ ზეიმის მასშტაბური აღნიშვნის დროს, ფსხუს პატარა აეროდრომზე, მოზეიმე ხალხის წინაშე წარსდგა მფრინავი – ვასილ ლობკო და მოგვახსენა: „სოხუმის ავიასაწარმოოს უფროსის როდიონ ტარკილისაგან დავალებული მაქვს: სანჭარის უღელტეხილის პატივსაცემად – უღელტეხილს საპატიო წრით შემოვუფრინოო – და ყველანი თვითმფრინავზე ავედით“**. ეს ყოველივე არცთუ ისე დიდი ხნის წარსულია.

ფსხუს განთავისუფლების დღესასწაული ამ ბოლო წლებში აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების გამო არ აღინიშნება. მაგრამ ეს ძვირფასი ტრადიცია უნდა აღდგეს და ჩვენ აფხაზებსა და ქართველებს მუდამ უნდა გვახსოვდეს სულმნათი ი. ჭავჭავაძის სიტყვები: **„სიკეთით სძლიე შენს მტერს“**.

გენადი დარსალიას კავკასიის დამცველებზე წიგნის დაწერის იდეა გაუჩნდა 1978 წლის 9 სექტემბერს, სოფელ ფსხუსა და სანჭარის უღელტეხილის მონახულების შემდეგ და ამბობს, რომ მხარს უჭერს აფხაზი მწერლის ნიკოლოზ ხაშიქის სამშვიდობო მოწოდებას, რომ ჩვენი ერის მოწინააღმდეგეებს უნდა გავუსწორდეთ როგორც ცივილიზებული ერი.

ამ პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ ბევრი ვიფიქრე და მართლაც... რა აღარ გადაგვხდენია, მაგრამ უანგარო მეგობრობით, ურთიერთთანადგომით დაგვიძლევია. აფხაზებმა და ქართველებმა ერთად უნდა ვიცხოვროთ, დაე, კვლავ უხინჯო იყოს ჩვენი მეგობრობა. ბრძოლებში მოპოვებული ურთიერთგაგება, შენდობა, პატივისცემა უნდა შევინარჩუნოთ. არ დავივიწყოთ რისთვისაც ვიბრძოდით, ვიბრძოდით ბედნიერი მომავლისთის, ამ სულისკვეთებით ვცხოვრობდით ერთად და ასე უნდა გაგრძელდეს. შევუნდოთ ერთმანეთს. უბედურება ის არის, რომ ამ გაუგებრობაში დახოცილებს ვერაფერს ვუშველით, მათი გლოვა გვმართებს ღირსეული. ნუ მივუმატებთ მათ ახალ მსხვერპლს, ნუ შევცოდავთ ღმერთს. ნუ დავუტოვებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს თავსატეხსა და საზრუნავს. ახალმა თაობამ ეს გაუგებრობა უნდა აღიქვას, როგორც შეცდომა და ნუ ეცდება შურისძიებას.

დიდი რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე – ნიკოლოზ ტიხონოვი ასე უმღეროდა 1942 წელს მოპოვებულ გამარჯვებას:

*და ჰა, სანჭაროს უღელტეხილი*
*ამაღლებულა ცაში.*
*თუმც ჩვენ მის მკერდზე*
*სისხლი ვიხილეთ მაშინ.*
*და როგორც ჩრდილი არწივის ფრთები*
*უღელტეხილზე წვება,*
*რომ დავივიწყოთ ჩვენ, ის ბრძოლები*
*არა გვაქვს ნება.*

**ლავრენტი გრიგოლის ძე ბერაძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე გალის რაიონში**

# გიულენს ახლო კავშირი აქვს საქართველოს ექს-პრეზიდენტის დედასთან გიული ალასანიასთან







ვინ არის თურქი ფეთჰულა გიულენი, რომლის დაფინანსებით სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილი უნივერსიტეტები რელიგიური ექსტრემიზმის გამოაშკარავების შემდეგ დახურეს, საქართველოში კი მისი სახსრებით დაარსებული 14 სასწავლებელი შეუფერხებლად განაგრძობს ფუნქციონირებას?

რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, აშშ, ყირგიზეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, – ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, სადაც ფეთჰულა გიულენის დაფინანსებით დაარსებული სასწავლებლები უკვე დახურეს.

მეტიც, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა რუსეთისა და აზერბაიჯანის პირველ პირებთან პირისპირ გამართული აუდიენციისას ვლადიმირ პუტინსა და ილჰამ ალიევს პირადად გადასცა იმ პირების სია, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში ფეთჰულა გიულენის წარმომადგენლები იყვნენ და არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სახელმწიფო მმართველობის დონეზე ჰქონდათ განზრახული რუსეთსა და აზერბაიჯანში თავის დამკვიდრება. აშშ-ში მის მიერ გახსნილ სკოლებში FBI შევიდა. აშშ-მ, აღნიშული სასწავლებლების დახურვის პარალელურად, რამდენიმე პედაგოგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

სწორედ გიულენი დგას საქართველოში ერთ-ერთი პრესტიჟული – შავი ზღვის უნივერსიტეტის უკანაც.

გიულენი საქართველოში რამდენიმე სასწავლო დაწესებულებას ფლობს, ესენია: დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი; თბილისის სკოლა-ლიცეუმი **„სხივი“;** ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი სკოლა; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა; რუსთავის რუსთაველის სახელობის სახელოვნებო დაწყებითი სკოლა; ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი; დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; ნიკოლოზ წერეთლის სახ. საერთაშორისო სკოლა; ბათუმის რ. შაჰინის სახ. დაწყებითი ლიცეუმი; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი; რუსთავის რუსთაველის სახელობის ლიცეუმი; მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი. ერთი სიტყვით, ყველა თურქული უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, მას ექვემდებარება. მართალია, გიულენის მიერ საქართველოში დაარსებულ სასწავლებლებში ისლამს არ ასწავლიან, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ დაწყებითი კლასებიდან მის მიერ ნდობით აღჭურვილმა პირებმა ნიჭიერ ბავშვებს შთააგონონ იდეოლოგია, რომელსაც მისი მიმდევრები ატარებენ. ასეთ ბავშვებს გიულენი სწავლების ბოლო საფეხურამდე აფინანსებს და შემდგომ სხვადასხვა ქვეყანაში მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტებში პედაგოგებად აგზავნის.

საქართველოში, განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, მრავლად არიან გიულენის იდეოლოგიის მიმდევრები.

კვიციანის თქმით, გიულენს საგანმანათლებლო სფეროს გამოყენებით განზრახული აქვს სახელმწიფოში სახელმწიფოს დაარსება და კონტროლის დამყარება.

კვიციანის თქმითვე, ფეთჰულა გიულენის მიერ დაფინანსებული სასწავლებლები საქართველოში, განსაკუთრებით, **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ მომრავლდა, რადგან მას სააკაშვილის ხელისუფლებამ **„მწვანე შუქი“** აუნთო, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ პერიოდში იხურებოდა იმავე გიულენის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გიულენს ახლო კავშირი აქვს საქართველოს ექს-პრეზიდენტის დედასთან გიული ალასანიასთან, რომელიც გიულენის ინიციატივით საქართველოში გამართული კონფერენციების ორგანიზატორი და მასთან საკმაოდ დაახლოებული პირია.

სხვა ქვეყნების მსგავსად, გიულენი საქართველოშიც აკონტროლებს თურქული ბიზნესის უმრავლესობას.

ეს არის სამშენებლო, ტექსტილის, სამედიცინო ბიზნესები, თუმცა პრიორიტეტული მაინც განათლების სფეროა.

გიულენი ფიქრობს, რომ სწორედ ამ სფეროს დახმარებით შეძლებს ამა თუ იმ სახელმწიფოს მართვის სადავეების ჩაგდებას. სწორედ ამიტომაც გიულენი და მისი წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მათი იდეოლოგიის მიმდევრები სახელმწიფო უწყებებში დასაქმდნენ. მათ საქართველოში არსებულ სასწავლებლებში ჰყავთ დამხმარეები, რომლებმაც იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ.

გამოძიებით დგინდება, რომ გიულენი **„ქართველ მეწარმეთა ასოციაციის“** უკანაც დგას. აღნიშნულ ასოციაციაში მხოლოდ ორი წევრია ქართველი, ისიც ფორმალურად, რათა გიულენის ბიზნესინტერესების გამტარებლებში ეჭვები არ დაბადონ და თავისუფლად ჩაიხედონ ქართული ეკონომიკის შიდასამზარეულოში. გახმაურებული ტერაქტები და მკვლელობები, რომლებსაც გიულენის ხელწერასთან მივყავართ: თურქეთში, და არა მხოლოდ იქ, ვარაუდობდნენ და კვლავ არსებობს ეჭვები იმის თაობაზე, რომ გიულენსა და მის დაჯგუფებას არაერთ გახმაურებულ მკვლელობასთან და ტერაქტის ორგანიზებასთან აქვს კავშირი.

სწორედაც რომ ფეთჰულაჰ გიულენის დაარსებულია ტერორისტული ორგანიზაცია **„რუხი მგლები“**. ეს დაჯგუფება დღეს სირიაში **„ისლამური სახელმწიფოს“** რიგებში იბრძვის.

გიულენმა სააკაშვილს სთხოვა, **„ნიურჯლარის – რუხი მგლების“** წევრებისთვის – თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეებისთვის, საქართველოს მოქალაქეობა მიეცა, რათა, საქართველოში გადაადგილების ან სხვა სახის პრობლემები არ შეჰქმნოდათ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სომეხმა სააკაშვილმა თურქი გიულენის თხოვნა შეასრულა და 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა დაჩქარებული წესით პრეზიდენტობის ვადაში მიანიჭა, გიულენმა მას დამატებით 200-კაციანი სია გადასცა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი გიულენმა სააკაშვილს მილიონობით დოლარი გადაუხადა. ეს ინფორმაცია, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაადასტურა. ექსტრემისტი თურქები, რომლებსაც სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, დღემდე ბათუმში მოღვაწეობენ და მათ ფინანსურ უზრუნველყოფას მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია გიულენის მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან შემოსული თანხებით უზრუნველყოფს.

ასეა, როცა საქმე საქართველოსათვის ზიანის მიყენებას ეხება, ისეთი ისტორიულად ერთმანეთისადმი დაუძინებელი მტრებიც კი შეიძლება გაერთიანდნენ, როგორებიც თურქები და სომხები არიან. მინდა რომ ეს წერილი გულისყურით წაიკითხონ იმ ჩემმა საფიცარმა მეგრელებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ სომეხ დაშნაკ სააკიანცს რაიმე სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოსათვის!

მიხეილ სააკაშვილმა თურქული ნაღმი ტერორისტული ორგანიზაცია **„რუხი მგლების“** სახით საქართველოში არეულობის მოსაწყობად ჩადო. დღეისათვის სააკაშვილს 3.200 ისლამისტი რადიკალი თურქი მებრძოლი ჰყავს საქართველოს მოქალაქის პასპორტით, რომლებმაც პროფესიონალურ დონეზე იციან, როგორ ჩააგდონ საქართველო საფრთხეში.

მიხეილ სააკაშვილმა თურქეთს სრული ჰეგემონია მისცა აჭარაზე და საქართველოს ბათუმისა და თბილისის აეროპორტები თურქულ კომპანიას ჩააბარა, სწორედ ამ აეროპორტების დახმარებით მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დაჯგუფება **„რუხ მგლებს“** იარაღით ამარაგებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით აშკარად შეინიშნება თურქეთის გამძაფრებული მადა, რომელიც აჭარას ჩაყლაპვას უპირებს. თურქებს აჭარაში გიულენის მიერ კარგად გაწვრთნილი და სააკაშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული ტერორისტები ჰყავს და ხელთ უპყრიათ ყარსის შეთანხმება, რომელსაც ვადა 2019 წელს გასდის, ხოლო თურქეთის ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში (რომელიც დღემდე მოქმედებს) **„თურქთა აღთქმაში“** ბათუმი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

რაც შეეხება გიული ალასანიას პირად კავშირებს გიულენთან, ერთი ხანი საზოგადოებაში სერიოზული ხმები დადიოდა იმის თაობაზე, რომ გიული ცოლად გაჰყვა თურქ ბიზნესმენ გიულენს და მიშიკოს **“ახალი მამიკო”** ჰყავსო. თუ გავითვალისწინებთ შარიათის კანონებს და იმას, რომ ნორმალურ თურქს ოთხ ცოლზე ნაკლები არ უნდა ჰყავდეს, გასაკვირი არ იქნება, რომ **“მადამ ალასანია”** სადღაც გადამალულ საბუთებში **“მადამ გიულენად”** იყოს სახელდებული. ამის ვარაუდს ამყარებს ის გარემოებაც, რომ ბუნებით ძუნწი და ხელმოჭერილი თურქი კაპიკს არ დაახარჯავს ისეთ საქმეს, საიდანაც გარკვეული მოგებისა და სარფის პერსპექტივა არ ექნება. რაც შეეხება ფეთჰულაჰ გიულენის მიერ გიული ალასანიაზე დახარჯულ მილიონებს და იმას, რომ სააკაშვილს დიდი იმედი ჰქონდა გადატრიალების შედეგად თურქეთის სათავეში მოსული გიულენისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გიულენი ალასანიას მორიგი ქმარია, სომეხ სააკიანცს კი მისი რჯულისა და გვარ-ჯილაგის დაუძინებელი მტერი – თურქი გიულენი ჰყავს მამინაცვლად!

მართლაც რომ ამოუცნობია გზანი უფლისანი!!!

კარგად დახედე, მკითხველო, ამ ფოტოებს, რაზედაც რუსები მოხდენილად ამბობენ ხოლმე: "Прекрасная семейка". ხასიათითაც რომ ჰგვანან ერთმანეთს ეს უჯიშო და უჯიგრო არსებები – უზნეონი, ხარბები, ურწმუნოები, საშოვარს გადაგებულები, ცივსისხლიანი მკვლელები, ქვეყანაში აურზაურისა და გადატრიალების მოსურნენი, რევოლუციათა მოტრფიალენი, სხვათა ქონების კაპიკებად ხელში ჩაგდების დაუძლეველი ჟინით შეპყრობილები...

ფინალიც აუცილებლად ერთნაირი ექნებათ ბუნებითა და ზნით ერთნაირებს: ციხის კედლებში მოუწევთ დარჩენილი სიცოცხლის გატარება, რადგან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის საზღაური სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობაა!

**რ. შალამბერიძე**

## პოეზიის კუთხე

*სათრევველები*

### ვის ახსოვს, გამოგვდგომოდა?

მოგვედო ელვის სისწრაფით
გადარევა და არევა,
ზოგი „ნატოსგან“ იწაფვის,
სხვას რუსი უნდა მფარველად.
შვილი რომ სხვისთვის ომობდა
და დღესაც შავად აღამებს,
ვის ახსოვს, გამოგვდგომოდა,
გნებავთ ჩვენ, გნებავთ ავღანელს?
მავანი მაინც მისტირის,
ხალხს რომ ტანჯავდა, იმ
„ცოცხებს“,
თუმცა ომს ახლავს სიკვდილი,
ნეიტრალიტეტს – სიცოცხლე!

### მოგვერდი

მიჭედვა-მოჭედვით,
მოსევად-მოკვერვით
აფთართა ბოკვერმა
და ფეხთა მლოკველმა
გაქნილმა „ბროკერმა“,
რომ ნახონ მოგება, –
კისრულით, მოგვერდით
შეგვყარეს „გეტოში“
და დაგვყვეს ბლოკებად.
– რას ვფიქრობთ, რას ვშვებით,
მისთვის რომ დავშვერით,
ვითომცდა საშველად
ხელი ვინც მოგვკიდა?
– გვაწუხებს ბოლო კი?
მოგველის “ბოლოკი“,
თეთრი და წითელი
ორივე ბლოკიდან!

### აღვლენილი ვედრება

სოდომ-ხიროსიმა-ნაგასაკიანი
რადგან დედამიწა ომით მაკე არი
და აპოკალიფსისის საფრთხემაც
იმატა,
დედავ მაცხოვრისა,
წმიდაო მარიამ,
გვიხსენი იმათგან,
ვინც გადარია,
დოლარით, ევროთი
და რუბლით როკვისას
იმედმა ბლოკისა,
სხვადასხვა ბლოკისა!
კვლავ გვექმენ წყალობად,
მზე ვერ დაგვიბნელოს
„არხილოს კალომ“ და
„საომარმა ლელომ“!

**ალექსანდრე შენგელია**

### დაპირებებზე დაკვირვებები ანუ წინასაარჩევნო მონიტორინგი

მოყვასზე ზრუნვა რადგან მითია,
მამრობითი თუ მდედრობითია,
ქმარზე ნაკლები ცოლი რითია?
თინაც ის არის, რაც დავითია!

* * *

ბლოკი პირველმა რაკი არია,
სხვა საქმისათვის აღარ სცალია,
რადგან პენსიას 300 ლარიანს
უკვე „გვირიგებს“ ალასანია.

* * *

„ნაცები“ და მემარჯვენე
რადგან ერთად შეაჯერე,
აბა, ბანი, ბურჭულაძე,
„გირჩის“ ჩაჩურჩულებაზე,
თორემ შენთვის შარიც კია,
რაც დამართეს შალიკიანს:
პარიზში რომ გცემდა პატივს
პარლამენტის დეპუტატი,
ტყიბულში გზა ჰქონდა მოკლე
და სხვებივით ისიც მოკლეს!

* * *

*ლეიბორისტთა თავკაცი*
*ასწლოვანებს პენსიად 2000 ლარს*
*გვპირდება*

ოთხმოცს გადავცდი, რომ ვთქვა
სიმართლე
და თუ ოდესმე აღმობრწყინდები,
ასს მივაღწიო, გულით ვინატრე,
რომ შევამოწმო, რასაც გვპირდები!

* * *

საქართველო რომ არ დარჩეს
კვლავ საომარ ლელოდა,
„უბლოკობა გადაგვარჩენს!“–
ნინოს მუდამ სჯეროდა.
შემწეობას შესთხოვს გამჩენს,
რომ გაუგონ ჯეროვნად,
მაგრამ ომი ვისაც არჩენს,
აწკმუტუნდა ჩეროდან!

**ქუთა თელია,**
შაირსიტყვათა მესტვირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია აბოლებს?



ჩემთვის უსაყვარლეს ქალაქში, უამრავი სახელოვანი და ღირსეული მამულიშვილის აღმზრდელ ზუგდიდში, ქალაქის შესასვლელთან მდებარე საშუალო სკოლის ეზოს შემორაგვის ბეტონის ბურჯზე წარწერაა. **„პოეზია აბოლებს“**. თავიდან ჩავთვალე, რომ ეს თინეიჯერი პოეზიის მოყვარულის ხუმრობა იყო. იმასხრა, გაერთო და... რასაკვირველია ამისთვის საჭირო არ იყო ბეტონის სვეტზე წარწერის გაკეთება, მაგრამ ასე მოიქცა და... ერთხელ თან მახლდა ჩემი მეორე კლასის მოსწავლე, შვილიშვილი ილია, სწორედ მან შენიშნა ეს წარწერა პირველად, როცა მეორედ, მესამედ და არა ერთგზის მოგვიწია ზუგდიდში სტუმრობა, ყოველ ჯერზე ამ წარწერას აქცევდა ყურადღებას და მუდმივად იმეორებდა **„პოეზია აბოლებს?!“**

შვილიშვილის ქილიკმა თუ ირონიამ ჩამაფიქრა. ქართველი საზოგადოება **„ვეფხისტყაოსანზეა“** გაზრდილი. კოლხი კაცი კლასიკურ პოეზიას მაშინ ეზიარა, როცა შექმნა **„ფესტოსის დისკო“** და იქ ,,დია ნანა“ ანუ სიმღერა დედაზე ჩააგვირისტა. რა გააკვირვებს მითრიდატე ლაზის, იოანე მინჩხისა და გიორგი ჭყონდიდელის შთამომავლთ? ამ კუთხის საგალობლი **„მეგრული ნანას“** ჰანგი პეტრე ჩაიკოვსკიმ თავის საშობაო **„მაკნატუნაში“** გამოიყენა, მაგრამ...

დრო მიდის პროზისა და პოეზიის თემები იცვლება, შესაბამისად მათდამი დამოკიდებულებაც, გამოხატვის თემატიკაც. შემოვიდა პოსტმოდერნისტული, როგორც დასავლური კულტურის ულტრათანამედროვე ფენომენი, რომელიც საკუთარ ფესვს იდგამს ჩვენში, რაც თავისთავად მიუღებელი როდია, ოღონდაც სტიქიურად, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ხდება სიტყვების **„თამაშით მკითხველის პროვოცირება“**. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს ქუჩის ლექსიკის ლიტერატურაში დამკვიდრების მცდელობას. პროზისა და პოეზიის ბიწიერების გადმონთხევის საშუალებად გამოყენებას. სამწუხაროდ დღეს **„უხამსი კომიქსებისა”** და სატირიკონების თავაწყვეტილი **„გრიალია“** საქართველოში.

არსებული, მოძველებულს სრულებით არ ნიშნავს და უცხოური, თანამედროვეს. როცა მოსწავლე სკოლაში კლასიკოსთა ქმნილებებს სწავლობს და შემდეგ სოციალურ ქსელში, წიგნში თუ პრესის ფურცლებზე სამწუხაროდ აბდაუბდასა და უზნეობის კორიანტელს კითხულობს, სავსებით შესაძლებელია დაებადოს აზრი **,,პოეზია აბოლებს“?!**. მგონია, წარწერა გახლავთ პროტესტი დღეს არსებული ლიტერატურის მდგომარეობისადმი.

ამგვარი გამოვლინებები გასულ საუკუნეშიც დაფიქსირებულა. როგორც ხელოვნების სხვა დარგები ლიტერატურაც დასაცავია უხამსობისა და სიბილწისაგან. კ. გამსახურდია თავის დროზე წერდა: **„უზნეო იდეები სარეველა ბალახსა ჰგვანან, თუ წვიმებმა ხელი შეუწყვეს და გამომხშირავი არ გამოუჩნდა ყანებს, ქვეყნას წალეკავს“**. შეშფოთების საფუძველი ახლა ნამდვილად არსებობს.

ჯიდის, ნიცშეს, მირაბოს და უაილდის მიერ შექმნილი აპოლოგია ავკაცობისა, ზნედაცემულისა, მამათმავლობისა და სქესობრივი აღრევისა სრულებით არ იყო **,,მათი“** თაობის უმრავლესობისთვის მოსაწონი. საზოგადოება უარყოფითად შეხვდა ზნეობისა და ადამიანური ფასეულობათა დეგენერაციას, შემდეგ იყო ჟანე ზენეზე, რომელმაც განადიდა დაცემა. ამაღლებულად წერდა ამორალურზე. ასევე, ველურობა განადიდა ნეჟინსკაიამ და სხვებმა, მათ ჟანგიანი ჯავშანი მოირგეს, თუმცა ისინი საკუთარი აგრესიით, სისასტიკითა და ზნეობრივი ეთიკის ნორმათა მოშლით ვერ გახდნენ და ვერც გახდებოდნენ მისაბაძნი.

ის სხვა სამყაროა, კეთროვნებით მოსილი, სისხლის არშიაშემოვლებული, ჩირქგროვის გუბე, დაცემის დიდებულება... რომელიც შეუძლებელია უარყოფასა და ზიზღს არ იწვევდეს.

ახლა, როცა იშვიათობის გარდა არ იქმნება მაღალმხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებები, შესაბამისად, ჩლუნგდება ძველი შედევრების აღქმის კულტურა და ერთჯერადი წასაკითხი, უიდეო, ურითმო, უშინაარსო ლექსები და **„მკვდრადშობილი“** პროზაული ნაგავის ლანქერი წალეკვით ემუქრება გონებას.

ახლის ძიება მისასალმებელია და ასეც უნდა იყოს. სხვანაირად საზოგადოება ვერ განვითარდება. მათ შორის ხელოვნება. ჭეშმარიტი პოეტი გრძნობის ბოლო სიმამდე უნდა განიცდიდეს სიტყვის ძარღვს და მის მნიშვნელობას, დედა ენისა და სიბრძნით გაჯერებული სიტყვიერების ბაჯაღლოს. ქუჩური სიმდაბლისადმი თაყვანისცემა, დედა ქართულის **„უაღვირო ჭენება“** მიგვიყვანს წარსულის სულიერი ღირებულებების დაკნინებამდე. ხელოვნება უპირველეს ყოვლისა გახლავთ ამაღლების ელექსირი და არა დამდაბლების, დაცემის გამოხატულების არენა. ამას გრძნობს წარწერის თინეიჯერი ავტორი. გრძნობს და აშკარად გამოხატა პროტესტი. იქნებ ეს წარწერა ახალგაზრდის გოდების ცრემლია, რომელმაც გარეთ გამოჟონა და ამ ფორმით მოიტანა საკუთარი განცდა და სულიერი ფორიაქი ჩვენამდე? მადლობა უფალს, გვყავს ამგვარი ახალგაზრდები.

გურამ ბენაშვილს აქვს საგულისხმო მინიშნება: **„სიტყვის თავისუფლება, როგორც ადამიანური ყოფიერების უძვირფასესი საკრალური „განძი“ ნეგატურ კონოტაციებთან არც კი უნდა ასოცირდებოდეს. არადა, თურმე შესაძლებელი ყოფილა ამ დიადი ცნების დისკრედიტაცია და მისი უხამსობის, უკულტურობისა და პათოლოგიური გამოვლინებების ასპარეზად ქცევა“.**

ბრძნული ნათქვამია: **„თუ წყალი გინდა ჭაში ნუ ჩააფურთხებო“**. წყალი სიწმინდის ელექსირია, წყალი ოდითგანვე მიიჩნეოდა ოცნებებისა და განწმენდის ღვთაებად. ასევეა ლიტერატურა. მას უდიდესი ფუნქცია ჰქონდა და ენიჭება თაობათა იდეურ და ესთეტიკურ აღზრდაში.

როცა ახალგაზრდა წაიკითხავს ამ მგრძნობიარე სტრიქონებს:

***„მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს, უსინათლოს და ყარიბს,***

***არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის,***

***უბრალოდ სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის...“***

და შემდეგ, ქვემოთ მოყვანილ, აი, ამ გულისამრევ ბოდვას, გადაავლებს თვალს, მიხვდებით რაც წამოცდება.

***„რა საჭიროა ზამთარი, თუ ქუჩაში მათხოვარი არ გაიყინა.***

***რა საჭიროა წვიმა თუ სველ ტრასაზე მანქანა არ მოსრიალდა და პატარა ბავშვი არ გაიტანა.***

***რა საჭიროა თოვლი, თუ მთებში ზვავი არ ჩამოწვა და ორიოდ სოფელს არ ჩაიყოლებს.***

***რა საჭიროა საბავშვო ბაღი, თუ მას არავინ არ ააფეთქებს“***

სავსებით ზუსტად ხორციელდება ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორის ალენ დალესის სატანისტური დოქტრინა: **„ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირკვავთ მათ ყოფით არსს. მწერლობა, თეატრი, კინო, პრესა – ყველაფერი უნდა ასახავდეს და ხოტბას უნდა ასხამდეს ადამიანის ყველაზე ქვენა გრძნობებს... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გაბრიყვებისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვიმხროთ და გავხრწნათ ისინი. ჩვენ ახალგაზრდობისაგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისაგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს“**. დიახ, დალესის ამ დოქტრინის შედეგს უხვად ვიმკით. ქართულ მწერლობაშიც. კარდა ხანია ფეხის მოკიდებას ცდილობს უხამსობამდე დაყვანილი და **„ჭვარტლმოდებული“** ნაჯღაბნები. მხოლოდ გონება არეული დაწერს **„ჩვენთან არს ღმერთი“**-ს ნაცვლად **„ჩვენთან ყარს ღმერთი“**, მხოლოდ დეგენერატი, უზნეო და სექსუალური მანიაკს წამოაბოდებს **„ერთი შენთან არ გამიყვია, დე, ჯერჯერობით სარეცელი. ეგეც დროის ამბავია, ადრე და მალე მაინც მოგვიწევს ერთად დაწოლა, როგორც ვატყობ, არც შენ უნდა იყო წინააღმდეგი...“**

ფუი, ეშმაკს!

როგორც ჩანს ევროპაში გაბატონებულმა სიურეალიზმმა ჩვენშიაც **„ლაღად გაშალა ფრთები“**, რომლის იდეური მრწამსია **„ყველა საშუალება კარგია, რათა მოვსპოთ ცნებები ოჯახსა და სამშობლოზე“**. ცხადია, ახალგაზრდების ნაწილი ამ უკუღმართი იდეოლოგიის **„ტყვეობაში მოექცა”**. ამიტომაც **„გაიძახიან“:** მართლმადიდებლობასა და ტრადიციებზე წერას სექსი მირჩევნიაო.

ვაი, რომ პირადული სიამოვნებისა და უტილიტარიზმის, მერკანტილიზმის პრინციპების გაბატონებამ გააუცხოვა ადამიანი ადამიანისაგან. შექმნა ჩუჩელა, გაუკუღმართებულ სექსზე მოფიქრალი. ევროპაში მცხოვრებს არ აქვს მშობლიური ტერიტორია წართმეული და სრული დამოუკიდებლობა აღსადგენი. მაგრამ შენ, ქართველო, შენ?! როცა თავზე საყრელად გაქვს ამდენი პრობლემა, ასეთ დროს რაზე უნდა ფიქრობდე და წერდე? მხოლოდ გართობაზე, უხამს (დედასთა, ბებიასთან და დასთან) ორგიაზე?

უფალო დაგვიფარე! უფალო გაგვინათე ბნელი გონება! გვინდა ზნეობრივი ღირებულებების და ტრადიციების მატარებელ ერად დავრჩეთ თუ?.. პანსექსუალიზმი ფრთებს შლის. ბანალურს ხდის უინტიმურეს, უფაქიზეს გრძნობას ქალ-ვაჟის სიყვარულისას და ის ცხოველურ ინსტიქტამდე დაჰყავს. უბრალოდ, სულიერად და ფიზიკურად ჭაობში ჩაფლა იქნება ჩვენში გამეორდეს რაც ამასწინათ ინგლისში ღია ცდის ქვეშ **„სვინგერების“** ფესტივალი რომ მოეწყო.

ბიწიერების ესოდენ კორიანტელს არასდროს წაულეკავს სალიტერატურო ენა და აზროვნება. პოეზია უპირველესად მშვენიერების, ამაღლებულის, წარმტაცის გამოხატულების საშუალება იყო. მწერალსა და მოღვაწეს საკუთარი საუკუნე ძერწავდა და აგვირისტებდ, როგორც მოწინავე იდეისა და ზნეობის ეტალონს. ახლა? ლიტერატურას ზნედაცემულობის გამოხატვის საშუალებად ქცევას უპირებენ.

ანტიკურ თეატრში, ტრაგედიების გმირები მხოლოდ ლეგენდარული პიროვნებები იყვნენ, ხოლო რიგითები მხოლოდ კომედიების პერსონაჟებად გამოჰყავდათ. დღეს ქართულ ლიტერატურაში **,,კომიკოსები“** მომრავლდნენ. იქნებ დროა მუდმივად არ ვიყოთ ევროპიდან შემოსული ლიტერატურული მიმდინარეობების **„თაყვანისმცემლები“** არამედ, როგორც ევროპული ოჯახის თითქმის წევრები (მხოლოდ ნაბიჯიღა გვაკლია კარის შესაღებად) ჩვენ შევთავაზოთ ახალი მიმდინარეობა **„ჩუთუიზმი“** ეს მეგრულ-ლაზური სიტყვიდანაა ნაწარმოები (ჩუთუ) ისინი თავს **„კომფორტულად“** იგრძნობენ ამ მიმდინარეობაში. ასობით არიან და მომავალშიც გამოუჩნდებათ მიმდევრები.

მახინჯ მოვლენის გავრცობას აშკარად არა, მაგრამ ზოგადად, ხელისუფლების ულიმღამო, მოუწესრიგებელი მცდელობა ნამდვილად ხელს უწყობს ხელოვნების იმიჯის დაქვეითებას. არ ფინანსდება ლიტერატურული გაერთიანებები. კერძო ინიციატივები მხოლოდ იდეაში და ქაღალდზეა მშვენიერი. ბევრი გამომცემლობა და ლიტერატურული კონკურსი პირდაპირ ლობირებს უზნეობასა და არა ტრადიციულს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახორციელებს პროექტს **„ცოცხალი წიგნი“,** ბოლო დროს სამეგრელოს სამ: სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს ეწვივნენ **„ცოცხალი წიგნის“ მესვეურნი**. დასახელებულ გამგეობებს წინასწარ დაეგზავნათ წერილები, სადაც თეთრზე შავად წერია, რომ პროექტს წლის საუკეთესო პროექტის სახელი მიენიჭა. იგი ითვალისწინებს საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლაში, ბიბლიოთეკასა და სხვა დაწესებულებაში. თანამედროვე მწერლების შეხვედრებს მოსახლეობასთან.

სავსებით მოსაწონი იდეაა, შეირჩა პოეტები და მწერლები. გათვალისწინებულ იქნა მათი წვევა ნოქალაქევის ციხე-გოჯში, ფოთის კოშკში, კოლხური მუზეუმში, ოქროს ტბასა, მარტვილში კანიონში, მაგრამ ერთი წინადადებითაც არაა მინიშნებული ჩამოსულთ პატივი მიეგოთ სახელოვანი მწერლების ხსოვნისადმი, წვეოდნენ მათ სახლ-მუზეუმებს. შეხვედროდნენ ადგილზე მცხოვრებ მწერალთა კავშირისა და მწერალთა აკადემიის წევრებს. სხვათა შორის მაინც მოეკითხათ ისინი, იქნებ რა უჭირთ და რით სულდგმულობენ.?

მართლაც წარმოუდგენელია სამეგრელოს გულში, სენაკში ჩამოვიდეს მწერალთა ჯგუფი და წამიერად თავი არ დახაროს პარკში მდგარ გ. ჭალადიდელის ძეგლთან, არ ნახოს ქართული სიტყვის მოამაგის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი, არ დადგას ფეხი ქართულ-ებრაული პოეზიის მეხოტბის, ჯემალ აჯიაშვილის სკვერზე, რომელიც გამგეობის შენობიდან ხელის გაწვდენაზე მდებარეობს. სენაკში დღეს ცხოვრობს და მოღვაწეობს ხუთი მწერალთა კავშირისა და მწერალთა აკადემიის წევრი. ამდენივეა საინტერესო და სასარგებლო წიგნის ავტორი. თუ თბილისელი მწერალი **„ცოცხალი წიგნია“** რაიონში მცხოვრები შემოქმედნი სულიერ ღირებულებასთან ერთად მატერიალურ დოვლათს ქმნიან და ამდენად არა **„მკვდარი წიგნები“** არამედ თითოეული მათგანი ორჯერ **„ცოცხალი წიგნია“**.

სხვათა შორის კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ პროექტში თითო-ოროოლა რეგიონიდან მოწვეული მწერალი და პოეტი რომ შეეყვანათ ეს არ დააკნინებდა პროექტის შინაარსსა და იმიჯს. ადგილობრივ კულტურის განყოფილებების მუშაკები **„სეთურების“** მონა მორჩილები არიან, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ ყოველგვარი ღირებულისადმი პატივისცემა. გადის წლები და ერთხელ არ მოიკითხავენ მხატვრებს, თეატრალებს, მუსიკოსებს, მწერლებს...

და მაინც, ყავს თუ არა დღეს საქართველოს ნამდვილი პოეტები და მწერლები? დიახ, საბედნიეროდ ჩვენდა ყავს, რომელთა ნიჭიერებასა და შემოქმედებით მიწევებზე დგას ქართული სულიერის **„უშგული“**. ივლისის თვეში სენაკში ჩატარდა ძველი ტრადიციის **„ცხენოსნობის“** აღდგენისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული. რაიონში მაღალი რანგის სტუმრები მობრძანდნენ. ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო, ამ დღეს როცა ლიტერატურის დარგში რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატ გენო კალანდიას გულმხურვალედ მიესალმა პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი. ეს არ იყო მხოლოდ გენო კალანდიასადმი პირადი პატივისცემა, არამედ ქართული კლასიკური პოეზიისადმი მოწიწება გახლდათ, რომლის ნამდვილი მესაჭე დღეს გახლავთ პოეტი გენო კალანდია. რომლის ლექსებმა მკითხველი დაიბრუნა.

ზუგდიდელი თინეიჯერი მარტო არ არის. დარწმუნებული ვარ მას თანამოაზრეები ყავს. მისასალმებელია, რომ სწორედ მათგან მოდის პროტესტი, დაბალი ხარისხისა და ამორალური პოეზიისადმი. იმედია ისინი იტვირთავენ პოეტური კულტურის ამაღლების მისიას და რუსთაველის სამშობლოში სანატრელი არ გახდება პოეზიისა და პროზის შედევრები წაკითხვა.

**ბორის დავითაია,**
**აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**აგათიას ამ ცნობიდან ირკვევა, რომ იმ საბრძოლო ხაზზე, სადაც ონოგურისი მდებარეობდა, ყოფილა წმ.სტეფანეს სახელობის ტაძარი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი სახელი მთელი იმ ადგილისათვის შეურქმევიათ. რომ ახლანდელი სოფელი ნოსირი სწორედ ამ ხაზზე მდებარეობდა ეს დასტურდება ორი გარემოებით: 1) ონოგურისი წარმოადგენს არქეოპოლისის მიდამოებში საჭირო სასიმაგრო საფარს (გეორგიკა III, 40,148), ხოლო არქეოპოლისიდან ჯარის ერთ-ერთი მარშრუტია, ჩვეულებრივ, არქეოპოლისი-ნოსირი-ნესოსი; 2) სოფელ ნოსირში დღესაც არის შენახული კვალი სასიმაგრო კედლებისა სწორედ ეკლესიის (იგულისხმეთ წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია) მიდამოებში. მომავალი არქეოლოგიური გათხრები, უნდა ვიფიქროთ, ამ, VI საუკუნეში მნიშვნელოვან, სტრატეგიულ პუნქტს საბოლოოდ გამოავლენს”** – იმედოვნებს ს.ყაუხჩიშვილი.

ამით სრულდება პასაჟების მოხმობა ს.ყაუხჩიშვილის სტატიიდან. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ზემოთმოყვანილი წარწერის შესახებ. რაღაც საოცარი სითბო და მოწიწება გამოსჭვივის ტექსტის ავტორის მიერ მაცხოვრისადმი მიძღვნილ სიტყვებში; იგრძნობა თითქოს, არ შემეშინდება ამ სიტყვების, ის (მაცხოვარი) მისი სისხლი და ხორცია, მისი თანამემამულეა, მისი წინაპარი და მისი თუ გნებავთ სიამაყეა. იფიქრებთ უფლის მიკერძოება მკრეხელობააო, მაგრამ მე უფლისადმი მიძღვნილ არცერთ სხვა წარწერებში არ მიგვრძნია ასეთი უსაზღვრო სიყვარული, იმედი ცოდვების მიტევებისა და როგორც შემდგომ დავინახავთ, ამას გააჩნდა თავისი ობიექტური მიზეზები.

რაც შეეხება ტოპონიმ **“ონოგურისს”**, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც ტოპონიმი ონოგურისი, ისევე ონოგურისის ბრძოლა 554, რომელთაც აქვე მოვიყვანთ:

**“ONOGURISI – ისტორიული ციხე-სიმაგრე დას. საქართველოში ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვან სტრატეგიული პუნქტი არქეოპოლისის (ახლანდელი ცხაკაიას (სენაკის-ნ.კ.) რ-ნის ტერიტორია) მახლობლად. ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია...”**

როგორც ქართული ენციკლოპედიიდან სჩანს ონოგურისი არქეოპოლისის მახლობლადაა, ხოლო ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ის ნოსირში უნდა იყოს. ჩვენც იგივე აზრის ვართ თვით ტოპონიმ **“ნოსირის”** ეტიმოლოგიიდან გამომდინარე. საქმე იმაშია, რომ **“სირუა”** მეგრულად ნიშნავს **“სრვას”, “წყვეტას”**, ხოლო **“ნოსირი”** – ალაგს, სადაც ადგილი ჰქონდა წყვეტას და სრვას. ეს ტოპონიმ ნოსირის მხოლოდ ერთ-ერთი ეტიმოლოგიაა (როგორც შემდგომში გამოჩნდება ამ ტოპონიმს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიებიც გააჩნია). ასე, რომ ონოგურისის ბრძოლა სწორედ ნოსირის მიდამოებში მოხდა, რასაც ადასტურებს მისი სიახლოვე არქეოპოლისთან და მისი სახელის ეტიმოლოგია, ასევე, აღსანიშნავია ნოსირის მდებარეობა, ის გაშლილ ადგილს წარმოადგენს, რაც ძალიან ხელსაყრელია ბრძოლების ჩასატარებლად.

ახლა ცოტათი ძირითად თემას გადავუხვიოთ და შევეცადოთ წარმოვაჩინოთ იბერიული ტომების ღვაწლი ბიბლიური ტექსტების შექმნის საკითხში.

მოვიყვანოთ ვრცელი ამონარიდი ცნობილი ავსტრიელი პოეტისა და მოაზროვნის რაინერ მარია რილკეს წიგნიდან **“წერილები”** (რაინერ მარია რილკე, წერილები, გერმანულიდან თარგმნეს: ნანა გოგილაშვილმა და დალი ფანჯიკიძემ, გამომცემლობა მერანი, თბილისი, 2002, გვ.39-41). წერილში თავადის ქალი ჰოენლოესადმი ვკითხულობთ შემდეგს: **“... ყველაზე მეტად მიტაცებს ფაბრ დ’ოლივეს** (ფაბრ დ’ოლივე (1768-1825) – ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი) **კითხვა. ის ორი წიგნი ... ერთ-ერთი ნაცნობისათვის გამოვიწერე, მაგრამ წიგნები რატომღაც ჩემთან მოხვდა; ჰოდა, მეც ვეღარ გავუძელი ცდუნებას, არ გადამეთვალიერებინა ისინი; ეს გადათვალიერება კი ნელ-ნელა მთელი გვერდების კითხვაში გადაიზარდა. საქმე ეხება სრულიად უჩვეულო პიროვნებას; საკუთარი თავის წინაშე დასმულ ამოცანას ეს კაცი, ასე ვთქვათ, ახლოსაც კი ვერ მიუდგა, მისი ნაშრომები (რამდენადაც ამის ერთი თვალის გადავლებით ვხვდები), მხოლოდ და მხოლოდ, მოსამზადებელი სამუშაოა, მაგრამ ამ სამუშაოსადმი დაწერილ შესავალში გამოთქმულია აზრი, რომლის განხორციელებაც ალბათ მაშინ თუ მოხერხდებოდა, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივზე ხუთჯერ ან ათჯერ მეტი რომ ყოფილიყო. ეს შესავალი ბევრი რამითაა განსაცვიფრებელი და თუ არ ვცდები, იმდენად ბევრს გვპირდება, რომ მის მიერ დასახული ზოგიერთი ამოცანა შეიძლება მომავალში განხორციელდეს კიდეც. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, თითქოს აქ ვიღაც ისეთის ხელი ერია, ვისაც ანტიკური მისტერიების, მათი საზრისისა და იდუმალი არსის წვდომის უნარი გააჩნდა; მე მგონია, ეს ცალწილ მისი გუმანის წყალობა უნდა იყოს, ცალწილ კი იმისა, რომ გათავისების საოცარი ნიჭი მას თანდათანობით აზიარებდა ყველა ენას, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ საიდუმლოთა გაცხადების ძველთაძველი უნარი; ეს არაბულით დაიწყო და შემდგომ ამისა ამ საიდუმლოს ნელ-ნელა, ერთმანეთზე მიყოლებით ეხდება ფარდა, ისე რომ ადამიანი მშობლიურ გარემოშია მოხვედრილი და იმ ადამიანთა თანამედროვედ გრძნობს თავს, ცნობილ გოდოლამდე რომ არსებობდნენ, რომლის მნიშვნელობაც დიდის არეულ-დარეულობით დამთავრდა. ამრიგად, რაკიღა ფაბრს ამ წყაროებზე ხელი მიუწვდებოდა, უკვე შეეძლო დედამიწის ისტორიის შექმნაზე ეფიქრა, კვლავაც უნდა მიბრუნებოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, რადგან მანამდე ამ სფეროში თითქმის არაფერი გაკეთებულა და ამიერიდან მისი ცხოვრება მართლაც ამ შრომაში მიედინებოდა, რომელიც არაერთგზის შეფერხდა და შეწყდა, და უკუგდებულიც კი იქნა; ამ ცხოვრების ნაპრალებში მრავალ ჭორსა და მითქმა-მოთქმას დაებუდებინა; ამბობენ, იგი გულგანგმირული იპოვნესო იმ რელიგიის საკურთხევლის წინ, რომლის მხურვალე მესვეურადაც ნელ-ნელა ქცეულიყო. ასეა თუ ისე, ყველა მისი ბიოგრაფი ერთხმად აღიარებს, ამ ადამიანის პიროვნება სასწაულმოქმედ ძალებს ასხივებდაო; თურმე მარტოოდენ მისი მაგნიტური ძალის წყალობით წიგნები თაროებიდან საწერ მაგიდაზე გადაადგილდებოდნენ, ხოლო თუ ამ წიგნების ავტორები ცოცხლები აღარ იყვნენ, გამოუხმობდა მათ, აიძულებდა პასუხი გაეცა ყველა საკითხზე და ხანგრძლივ საუბრებს მართავდა მათთან.**

**საინტერესოა ადამიანის, როგორც ისტორიული არსების, შესწავლის მისეული გზა; იგი ამბობს, რომ ყველაზე შორეულ საგანთა შესახებ არ შეიძლება არსებობდეს უფრო მნიშვნელოვანი წყარო, ვიდრე სხვადასხვა ხალხში შემორჩენილი წმინდა წერილებია, და ცდილობს გაარკვიოს, რატომ მოხდა, რომ ერთი ჭეშმარიტების მაუწყებელი ეს ფუძემდებლური წიგნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ფაბრ დ’ოლივეს საჭიროდ მიაჩნია შევისწავლოთ და ერთმანეთს შევუჯეროთ ინდუსების, ჩინელებისა და ეგვიპტელების უძველესი კოსმოგონიები; იგი ნელ-ნელა მიუყვებოდა ამ გზას, ვიდრე ბოლოს ებრაულ ენას (მან საფუძვლიანად აღადგინა ეს ენა და გამოსცა ებრაული ენის ისტორია და გრამატიკა) თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან, და მოსეს ძველებრაულად არ წარმოუთქვამს თითქმის არცერთი იმ სიტყვათაგანი, რომლებსაც მას მიაწერენ ბერძნულსა და ლათინურში.”**

ჩვენში ფაბრ დ’ოლივეს სახელი ნაკლებად ცნობილია. ვერც ენციკლოპედიებში მივაკვლიეთ მის სახელს, მაგრამ თუ ზემოთ მოყვანილი ციტატით ვიმსჯელებთ რილკეს წიგნიდან, სადაც დ’ოლივე მსჯელობს ებრაული ენის შესახებ (რომელი ენაც მას ღრმად შეუსწავლია) და აცხადებს, რომ ამ ენას არაფერი აქვს საერთო შესაქმის ცნობილ ტექსტებთან; გამოდის, რომ ბიბლია ებრაელთა შემოქმედების ნაყოფი არ ყოფილა. მაშ რომელი ერის შემოქმედების ნაყოფია ის? სანამ ამ კითხვაზე ჩვენ მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, მოვიყვანოთ ციტატა ზვიად გამსახურდიას წიგნიდან **“საქართველოს სულიერი მისსია”** გვ. 8-9: **“ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი** – ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერიანული რასსა, ანუ მედიტერიანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერიანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები.”

როგორც ცნობილია, იბერებში პირველ რიგში მოიაზრებიან მეგრელები. ამის შესახებ საუბრობენ როგორც უცხოელი, ასევე ცნობილი ქართველი მეცნიერები. მეორეს მხრივ ამ ბოლო ხანებში დადგინდა ისიც, რომ კაცობრიობის ისტორია იწყება შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებული ტერიტორიიდან, ანუ იგივე იბერიიდან. იგივე კოლხეთიდან. (ამ საკითხს რამოდენიმე წიგნი მიუძღვნა ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა კლიმენტი შელიამ). შემდგომ პერიოდში მოხდა ამ ტერიტორიიდან ხალხთა გადინება მსოფლიოს ყველა მიმართულებით და მათ შორის იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჩამოთვლილია ციტატაში ზვიად გამსახურდიას წიგნიდან.

ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიაა პალესტინა, სადაც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, დაიბადა ბიბლია; მაგრამ რომელ ხალხს უნდა მიეწერებოდეს მისი დაბადება? სანამ პალესტინაში ისრაელიანები შევიდოდნენ ამ ტერიტორიაზე, მოსახლეობდნენ ქანაანელები, ამორეველები და სხვა ტომები. სხვათა შორის მიჩნეულია, რომ ანბანური დამწერლობის გამოგონება ქანაანელებს ეკუთვნით. ეს მოხდა 2000-1600 წწ. პერიოდში ჩვ.წ-მდე. ქანაანელები და ამორეველები იბერიული მოდგმის ტომები იყვნენ; მათი სახელებიც კი იბერიულად (კოლხურად) იხსნება, რომელსაც ახლა აქ არ მოვიყვან. როგორც ფაბრ დ’ოლივე ამბობს: **“ძველ ებრაულ ენას თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან",** აქედან კი უბრალო ლოგიკით გამომდინარეობს, რომ ეს გაუკეთებიათ ქანაანელებს და სხვა კულტურულად დაწინაურებული ტომების წარმომადგენლებს, ხოლო დროთა განმავლობაში ყველაფერი ეს ისრაელიანებმა მიითვისეს და თავისად გადააკეთეს. აქვე მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა, რომ ვისაც ბიბლია ერთხელ მაინც წაუკითხავს, მისთვის აშკარა გახდებოდა ზოგიერთი პასაჟის აბსოლუტური უზნეობა და ქრისტიანულად მიუღებლობა. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს არც ქანაანელთა და არც იბერთა მოდგმის სხვა ტომის წარმომადგენელთა ნამოღვაწარი არ იქნებოდა, არამედ სხვათა მიერ დროთა განმავლობაში შერყვნილი და სახეშეცვლილი.

პალესტინა, რომ იბერიული სამყაროა და აქედან გამომდინარე ბიბლიური ტექსტები კოლხური მოდგმის ხალხების მიერაა შექმნილი, ეს სჩანს ცნობილი მკვლევარის ბათლომე სართანიას ნაშრომიდან **“ძველი კოლხეთი”**, საიდანაც მოვიყვანთ ციტატებს (ჟურნალი **“აია”**, 7, 1999, გვ.91-92). ამ ნაშრომში ვკითხულობთ: **“იესო ქრისტე – ვინ იყო იგი?!”**. ავტორი აღწერს სირიის, პალესტინის და იერუსალიმის გეოგრაფიულ არეალს და ამბობს: **“...სწორედ ეს კუთხეა იესო ქრისტეს სამშობლო-განსაკუთრებით პალესტინა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ჩვენი წინაპრები – ქალდეები 500-წელიწადზე მეტხანს ფლობდნენ ბაბილონიას, სირია-პალესტინას და იერუსალიმს. ამ ხნის მანძილზე ამ ქვეყნებმა განიცადეს მეგრელიზაცია, იქ დანერგილი იქნა მეგრული ენოვანება, კულტურა და ჩვევები! ამას ადასტურებენ ამ ქვეყანაში შემორჩენილი და დანერგილი მეგრული სახელები და ტერმინები. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ სირიაში შემორჩენილ მეგრულ ზოგიერთ სახელებსა და ტერმინებს. ასე მაგალითად, ღვთაებათა სახელები:**

**ალერტი – ქვესკნელის ღმერთი: ზუგდიდის რაიონში სოფელ ყულისკარში ახლაც არსებობს ღვთაება – ალერტის ნასაყდრალი.** ყული-სირიაში ღვთისა და **მეფის წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი. ზუგდიდის რაიონში ყულის ხატის ირიის რომელიმე ღვთაების წარმომადგენელია, რომლის სახელს რევოლუციამდე ატარებდა სოფელი ყულის კარი, სადაც სპეციალურ ეკლესიაში დასვენებული იყო ეს ხატი;**

### ადგილთა სახელები

**ბარხა – ასირიაში სოფლის სახელია. სამეგრელოში არის ერთი სატყეო უბანი – ბარხა. კულუმური – ასირიაში ციხე-სიმაგრის სახელია. სამეგრელოში, სიტყვა კულუმური მტკიცე ნებისყოფას აღნიშნავს. ჯეგეთა – სირიის იმ მთის სახელია, სადაც განვითარებული იყო მეჯოგეობა. სამეგრელოში ხობის რაიონში ერთ მთას ჯეგეთა ეწოდება, სადაც დგას ჯეგეს ეკლესია. ჯეგე – მეგრელების მეცხოველეობის უძველესი ღვთაების სახელია.**

### ადამიანის სახელები

**ბურდა – სირიის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდლის სახელია. სარდალი ბურდა მოწინააღმდეგის ტერიტორიას ცეცხლს უკიდებდა ომის დროს. სამეგრელოში ბურდა გავრცელებული სახელია. მძლავრ ცეცხლს მეგრულად ბურდუნა ეწოდება. “ქიმეჩი ბურდუნა”, მიეცი ბურდასეული ცეცხლიო.**

**კიკული – ასირიელი მწერლის სახელია – სამეგრელოში ეს სახელი ახლაც გავრცელებულია.**

**ტუბუხი – სირიის იმ მეფის სახელია, რომელიც ომის დროს არცერთ ტყვეს ცოცხალს არ ტოვებდა. სამეგრელოში ტუბუხი გამოუვალ განსაცდელს ნიშნავს. კიკია (ასირიის მეფის სახელია). ეს სახელი სამეგრელოში გავრცელებულია და სხვა.”**

ჩვენის მხრივ, აქვე დავამატებთ რამოდენიმე ჩვენეულ ეტიმოლოგიას: სოფელი ნოსირის სახელი, რომელიც პირდაპირ ნიშნავს ადგილს, სადაც სირიები (გვარია), სირიელები ცხოვრობენ (ეს კიდევ ერთი ეტიმოლოგიაა ნოსირისა). ასევე ქალაქ **“სოდომის”** სახელი, რომელიც გამომდინარეობს მეგრული **“ცოდამი”**-დან, რაც ქართულად **“ცოდვიანს”** ნიშნავს. თვით ტოპონიმი **“გოლგოთა”**, რომელიც აშკარა კოლხური წარმომავლობისაა: გოლა-გოთე, მეგრულად ნიშნავს ნათელი, მზიანი, უტყეო-გორას, მთას და მართლაც გოლგოთა სწორედ ასეთია და კიდევ მრავალი სხვა.

შემდეგ ავტორი (ბ.სართანია) აგრძელებს: **“პალესტინაში იესო ქრისტე მაშინ გამოჩნდა, როდესაც სირია, პალესტინა და იერუსალიმი კოლხური ტომებით იყო დასახლებული და სწორედ ამ კოლხურ წიაღში მოევლინა ქვეყნიერებას მაცხოვარი (დასკვნას, რომ მაცხოვარი პალესტინაში მოევლინა ქვეყნიერებას, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს ჩვენ არ ვიზიარებთ – ნ.კ.). აქ მაცხოვრის ეროვნებაზე არ არის ლაპარაკი, ღმერთს არა აქვს ეროვნება, ვინაიდან ის ყველა ეროვნებისაა, საუბარია სად და რომელ წიაღში მოევლინა იგი ჩვენს ცოდვილ, მიწიერ სამყაროს”.**

და ბოლოს ავტორი ასე ამთავრებს თავის ნაშრომს: **“მეგრელ ხალხს, ახლო აღმოსავლეთში ქალდებად წოდების დროს და კოლხეთში მეგრელებად წოდებულს, მუდამ საკუთარი სამეფო, საკუთარი კულტურის ენოვანება და საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ.**

**იმის შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა სამი წლის სისხლიანი ბრძოლით დაარბია კოლხეთი, აღმოსავლეთ საქართველოს ხალხებმა კოლხეთი და მისი კულტურა თავიანთ დანამატად აქციეს.**

**იოლად როდი ჩაქრება ქართველი ერის წინაპრების, ლაზების, მეგრელებისა და ჭანების მიერ ჭოროხის ხეობაში ანთებული ფუძის სანთელი დასავლურ სპერის სახელით.**

**მეგრელთა შორეული ისტორია, კოლხეთის მიწას აბარია. ვინ გაუღებს კოლხეთის მიწას გულის სეიფს? ვინ აადგმევინებს ენას კოლხეთის მიწებსა და ძეგლებს? ვინ ამოთხრის ანაკლიაში კოლხეთის უძველეს ქალაქ ჰერაკლეს? ვინ დაიჭერს ფაზისიდან ლიხის მთებამდე და ტრაპიზონიდან ტუაფსემდე გაჭენებულ კოლხეთის მერანს? ვინ დალევს მდ. ევფრატის წყალს მეგრული ტობალების სადღეგრძელოდ? ყველაფერი ეს ჩვენმა მეცნიერებმა უნდა გააკეთონ. ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს – შესდგეს ქართველი ერის ახალი ისტორია, მეგრელი ხალხის შორეული ისტორიიდან მოყოლებით.”**

ნუგზარ კვაშილავა,

*(გაგრძელება იქნება)*

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## დროა...

ვფიქრობ... ვფიქრობ... ვფიქრობ... ჰოდა, ამდენი ფიქრის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი ერთ რამეში: მართლაც აქვს ადგილი შეთქმულებას საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ! კი, ბატონო! ჯანდაბას ეს კონსპიროლოგიური თუ შეთქმულების თეორიები, მაგრამ ფაქტია, აშკარად ვხედავ, რომ საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები არ არსებობს ანუ თითქმის არ არსებობს, რადგან ასეთი ორგანიზაციები ფაქტიურად ბლოკირებულია და მათ სრულფასოვანი ფუნქციონირების შესაძლებლობას ათეულობით წლებია უკვე რაც არ აძლევენ სახელისუფლებო სტრუქტურები და საერთოდ ევროატლანტიკურ ვექტორზე ორიენტირებული პოლიტიკური კლასის წარმომადგენლები... ასე რომ, მათი არსებობა სინამდვილეში იგივეა რაც არარსებობა. რაც მთავარია ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ფორმირება-ფუნქციონირებას ყველანაირი მეთოდებით ხელს უშლიან უცხო ქვეყანათა ადგილობრივი საელჩოები... ეს საელჩოები მხოლოდ მათი დასაყრდენი ინსტიტუციების, პოლიტ-ორგანიზაციების სტიმულირება-ფორმირებას და მარიონეტული პერსონალიების გაპიარება-რეკლამირებას ეწევიან... ისინი დგანან საქართველოში სოკოებივით მომრავლებული ე. წ. ენჯეოების უკანაც... ეს ენჯეოები კი სხვა არაფერია თუ არა **„მეხუთე კოლონა“**... ეს ენჯეობი გამოხატავენ ყველას ანუ თითქმის ყველას ინტერესებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გარდა!... ახლა გეკითხებით თითოეულ ჭკუათმყოფელს – რით არ არის ეს შეთქმულება?! დიახ, დიახ! რასაკვირველია, ეს არის შეთქმულება და ამ მოცემულობაში ქართველმა ერმა საკუთარ წიაღში თვითგადარჩენის რეფლექსი თუ არ აამოქმედა – სულ მალე ეს ყველაფერი დასრულდება! დიახ, ეს ყველაფერი გარდაუვალად დასრულდება მრავალათასწლეულთა ქარტეხილებს აქამდე ასე თუ ისე გამოღწეული ერის სრული გაქრობა-განადგურებით!..

ახლა, ვისაც უნდა ცრუორაკული მიწოდოს!.. ასეა ეს და მავანთა გულის მოსაგებად ენის მოჩლექით მე ვერ ვილაპარაკებ!..

და ბოლოს: მიმაჩნია რომ გამოფხიზლებულმა საზოგადოებრიობამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს ეროვნულ პლატფორმაზე მყოფი საზოგადო მოღვაწეების ინსტიტუციების ფორმირება! ამ ინსტიტუციებმა დროებით უნდა ჩაანაცვლონ კორდონებს იქითა ძალების ინტერესების გამომხატველი ე. წ. პარტიები! გულდასმით, სკრუპულოზურად უნდა იქნას შესწავლილი ზემოთხსენებული პარტიების და ენჯეობის საქმიანობა ჩვენს სამშობლოში! საზოგადო მოღვაწეთა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად თუ მასთან კოორდინირებით დროულად აიღოს უნდა პასუხისმგებლობა ქვეყნის გადარჩენასა და მომავალზე!..

## კარგით რა, ხალხნო!..

მოიცათ რა, ხალხნო! რას ჰქვია ზუგდიდი სანდრას აირჩევს! ვატყობ, თქვენ ჩემი გაგიჟება გინდათ ხალხნო! ეს გადამთიელი ავანტიურისტი დედაკაცი კი არა, საერთოდ არ მეგულება ამ დროისათვის გაცხადებულ-ცნობილ კანდიდატთაგან რომელიმე იმის ღირსი, რომ მას ზუგდიდელებმა პარლამენტის წევრობისკენ დაულოცონ გზა! კარგით რა, ხალხნო! თქვენ გინდათ დამარწმუნოთ იმაში, რომ ჩემი ზუგდიდელები, ჩემი მეგრელები იმდენად დაკნინდნენ, იმდენად დაეცნენ, რომ იმ უფშვიტინეს ცოლს ხმას მისცემენ?! როგორ უნდა დავიჯერო ეს?! და, თუ მართლა გაგვიწყრა ჟინიერი და ეს სინამდვილეა, მაშინ სინამდვილე ყოფილა ისიც, რომ ჩვენ უკვე აღარ ვართ მეგრელები! ჩვენ ნამეგრელარები ვყოფილვართ მაშინ! სამარცხვინო ნამარგალები! თუ ასეა, მაშინ ჩვენ არ გვაქვს უფლება აიეტის, გუბაზის, წათეს, ცოტნეს, მინჩხის, გიორგი ჭყონდიდელის და ბევრთა სხვათა სისხლისიანებად ვიწოდებოდეთ! გამქრალა მაშინ, საბოლოოდ გამქრალა ჩვენი დიდებაც და სიამაყეც! ჩვენ უკვე დავმდგარვართ საბოლოო გადაგვარების გზაზე! და, მაშინ, ეს გზაც როდია უსასრულო! ეს გზაც დასრულდება მალე! უფსკრულთან დასრულდება ეს გზა! ჩვენი დაღუპვა-გაქრობით დასრულდება ეს გზა! და, ახიც იქნება ჩვენზე, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში ჩვენ ვერ გამოვავლინეთ დიდი კოლხეთის, დიდი ცივილიზაციის, დიდი კულტურის სათავეებთან მდგომი ხალხისათვის საკადრისი უნარი ადექვატურობისა და თვითგადარჩენისათვის გარჯაძალისხმევისა!..

კარგით რა, ხალხნო!..

## ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

ძალიან დიდი ბოდიში ყველასთან, მაგრამ გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ე. წ. პოლიტიკური პარტიებიდან და ორგანიზაციებიდან სულ ცოტა 99% არ იმსახურებს იმას, რომ ჩვენი სამშობლოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იქნას არჩეული! დარჩენილ 1%-ს კი, არსებული სავალალო რეალობიდან გამომდინარე, პარლამენტში მოხვედრის არანაირი შანსი არ აქვს! უეჭველია, რომ მომავალი პარლამენტიც ისეთივე არაეროვნული, ანტიხალხური და მარიონეტული იქნება, როგორც ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ყველა აქამდე არსებული! უეჭველია, რომ მომავალ პარლამენტსაც ვითომ ხალხისგან ექნება მანდატი! უეჭველია ისიც, რომ იმავე ხალხი ამას მერე მწარედ ინანებს! უეჭველია, რომ ესეც იქნება მორიგი და მერკანტილობიდან გამომდინარე სინანული! უეჭველია, რომ მერე ეს სინანული მაინც გვიანი იქნება! უეჭველია ისიც, რომ ყველა ხალხს ჰყავს ისეთი ხელისუფლება-მთავრობა, როგორსაც ის იმსახურებს! მაგრამ, ალალად ვიტყვი ამასაც, რომ შექმნილი სიტუაციის გამო მთავარი დამნაშავე მაინც საზოგადოების ე. წ. ელიტაა და, აი, რატომ: მხოლოდ საკუთარი სტომაქი აღელვებს და იმიტომ! მოყვასის ტკივილის განცდა არ აქვს იმიტომ! სამშობლოს ბედისადმი ინდიფერენტულია და იმიტომ! წარსულის, აწმყოს და მომავლის მიმართ უპასუხისმგებლოა და იმიტომ! ეროვნულად, მამულიშვილურად, სტრატეგიულად ბერწი აზროვნებისაა და იმიტომ! ჭკვიანური და კონცეპტუალურად გამართლებული იდეოლოგიის ვერგამცნობიერებელია და იმიტომ! უცხო და ჩვენი ეროვნულ-ტრადიციული მენტალიტეტისათვის მიუღებელი ფასეულობების გამფეტიშებელია და იმიტომ! მტერ-მოყვარის ვერ მცნობია და იმიტომ! და კიდევ, უამრავჯერ იმიტომ! იმიტომ! იმიტომ! იმიტომ!!!

აი, ასეა! სწორედ ასეა! ახლა, ეს თუ ვინმეს ეწყინა – თავი ხეთქოს ხეს!!!

ჰო, ამას ჩემს სახელ-გვარს მოვაწერ, რადგან არ მიყვარს როცა მოგონილ სახელ-გვართ თუ ფსევდონიმთ ამოფარებულნი სხვათ ამუნათებენ!!!

**ზურაბ კვარაცხელია**

# რევაზ ქარჩავას ნამუშევრები სოხუმის სამხატვრო სალონში



აფხაზეთიდან დევნილი რევაზ ქარჩავა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედაეწერში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილ ჩასახლებაში ცხოვრობს. ხატვა 19 წლისამ დაიწყო. თვითნასწავლ ხელოვანს თავდაპირველად **„ეუხერხულებოდა“** ნამუშევრების ვინმესთვის ჩვენება, ჩუმად მუშაობდა, ისე, რომ კარგად არც მხატვრის ტექნიკას ფლობდა და არც ის იცოდა, იყო თუ არა საზოგადოებისთვის საინტერესო საკუთარი შემოქმედება. ქმნიდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს... დღეს მის ნახატებს სოხუმის სალონსა თუ გაგრის სასტუმროებსა და რესტორნებში შეხვდებით.

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ საცხოვრებლად ოჯახთან ერთად 20 წლით სოჭში გადავიდა. თავი როგორმე უნდა ერჩინათ, ამიტომ ხელი იქაც მხატვრობას მიჰყო. დრო არ ჰქონდა საყვარელ საქმეს შემოქმედებითად მიდგომოდა, რადგან ძირითადად დაკვეთებზე მუშაობამ მოუწია. მერე ზუგდიდში ჩამოვიდა...ჯანმრთელობის პრობლემების გამო ხატვა ერთი წლის წინ განაახლა. ამბობს, რომ ზუგდიდში ნამუშევრები არ იყიდება, თბილისთან კონტაქტები ჯერჯერობით არ დაუმყარებია, ამიტომ ძირითადად მათ სოხუმელი მომხმარებლისთვის ქმნის. ამ საქმეში რევაზ ქარჩავას საკუთარი შვილი ეხმარება. მას აფხაზური პასპორტი აქვს და გადაადგილებას ენგურს გაღმა ჩვეულებრივ ახერხებს.

**„ჩემი შვილი სოხუმში იმყოფებოდა. ნახა, რომ იქ არის სამხატვრო სალონები. დაუკავშირდა ვინც არიან და გამოთქვეს სურვილი, რომ მიიღებდნენ აქედან ნამუშევრებს. აფხაზმა ქალმა დამიკვეთა ქართული ტაძარი. არ ვიცი რატომ ქონდა ასეთი სურვილი. ქართულ სტილში გავაკეთე ერთი ტაძარი. ნატურმორტების მოთხოვნაც არის. ძირითადად დამსვენებლები რომ ჩამოდიან, მათ ზღვა აინტერესებთ“**, – უთხრა ხელოვანმა **„ლაივპრესს“**.

რევაზ ქარჩავა ზეთით მუშაობს. ზუგდიდის გალერეაში მისი რამდენიმე ნამუშევარი ახლაც კიდია. პერსონალური გამოფენა არასდროს მოუწყვია, საკმარისი ნახატების არქონის მიზეზით. იყო ჩარჩოების პრობლემაც, რომელსაც ადგილზე ნაკლებად ამზადებენ. სურს საკუთარი შემოქმედება თბილისელ დამთვალიერებლებს გააცნოს და საამისოდ ემზადება კიდეც.

**„მე თავისუფლად ჩავდივარ აფხაზეთში. ვიყავი ქალაქებში, თან ვმუშაობდი მშენებლობაზე. დავინტერესდი, ბუნებრივია, სამხატვრო სალონით. დაველაპარაკე მეპატრონეს. დაინტერესდა და ჩამოვუტანე ერთ-ორჯერ ნამუშევრები. დღეს იქ მამაჩემის სამი სურათია, 20 (725 ლარი), 10 (363 ლარი) და 7 ათასი (254 ლარი) რუსული რუბლის ღირებულების. გაყიდული მაქვს ჯამში 70 ათასი რუბლის** (2 540 ლარი – ავტ.) **ერთი თვის განმავლობაში სოხუმსა და გაგრაში“**, – გვიხსნის რევაზ ქარჩავას შვილი ავთანდილ ქარჩავა გარემოებებს, როგორ დაიწყო თანამშრომლობა აფხაზ ხელოვანებთან მამის შემოქმედებით.

ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისას რუსები ინტერესდებიან, თუ რა მიაქვს, ეკითხებიან, ისიც პასუხობს, განუმარტავს და ჩვეულებრივ გადააქვს. ამბობს, რომ გაგრაში ნახატებს პირადად სთავაზობდა სასტუმროებსა და რესტორნებს.

რევაზ ქარჩავას შვილისგან განსხვავებით აფხაზური პასპორტი არ აქვს, ამიტომ იქ ჩასვლა, ადგილობრივი ხელოვანების გაცნობა მისთვის მომავლის პერსპექტივაა:

**„მინდა გალერეას დავუკავშირდე და გამოფენები მოვაწყო. წინააღმდეგი არ იქნებიან, რადგან ჩემი შვილი რომ ელაპარაკება, ამბობენ, რა საინტერესო მხატვარი ყოფილა, კარგი იქნებოდა ნამუშევრებსაც თუ გამოფენდაო. ასეთი საუბარიც იყო“.**

თუმცა მანამდე ზღვა უნდა დახატოს. ფუნჯს მოზრდილ ჩარჩოზე გამოკვეთილ კონტურებზე გადაატარებს, ფერებს, დეტალებს ამატებს. ეს „ზღვა“ სოხუმში ჩავა. ასეთია დაკვეთა აფხაზეთიდან.

**ნინო თოლორაია**

# წერილი რედაქციას



დღეს, როდესაც ჩვენი ლიბერალი პოლიტიკოსები, ფილოსოფოს-სოციოლოგები, თბილი წვიმების შემდეგ სოკოებივით მომრავლებული ათასი ჯურის არასამთავრობოები ქართველ ერს ჩამორჩენილ, ნახევრად დებილ, სოციალურ აზროვნებას მოკლებულ კერპთაყვანისმცემელს რომ ეძახიან, ვფიქრობ, აუცილებელია შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ და პოპულიზაცია გაუწიოთ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებს.

გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი და ფილოლოგი, აკადემიკოსი ლოსევი იკვლევდა რა ქართულ ნეოპლატონიზმს, აღტაცებით წერდა შესანიშნავ პიროვნებაზე "которое, к сожалению, до настоящего времени все еще не стало достаточно известным т близким всякому советскому философу. Это грузинский философ XI-XII веков Иоанн Петрици..."

XX საუკუნის დასაწყისში შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, სერგი დანელიამ, კონსტანტინე კაპანელმა, კოტე ბაქრაძემ, მოსე გოგიბერიძემ, კიტა მეგრელიძემ, სავლე წერეთელმა და სხვა ქართველმა ფილოსოფოსებმა ღირსეულად გააგრძელეს თავიანთ წინაპართა ფილოსოფიური გზა, ქართული ფილოსოფიური აზროვნება აიყვანეს თანამედროვე ევროპული ფილოსოფიური აზროვნების დონეზე. **"უკვე XX საუკუნის დასაწყისში ქართული ფილოსოფიური აზროვნება ევროპულ დონეზეა"** – აღნიშნავს ბატონი ედუარდ კოდუა შესავალ წერილში (კ. კაპანელი, ფილოსოფიური შრომები, თბ. 1989 წ. გვ. 4).

ამ სიტყვებს ადასტურებს კონსტანტინე კაპანელის თუნდაც ორი ნაშრომი: **"სული და იდეა"** და **"სოციალური ესთეტიკის საფუძვლები – ორგანოტროპიზმი"**.

ნებისმიერი თანამედროვე ევროპელი ფილოსოფოსი ამ ნაშრომებით იამაყებდა და იამაყებდა არა მხოლოდ ავტორი, არამედ, მისი სამშობლო!!!

ბატონო რედაქტორო! გაზეთი **"ილორი"** ბეჭდავს და მკითხველს შეახსენებს დიდ ქართველ მეცნიერთა ბიოგრაფიებს და მათ დამსახურებას. იმედი მაქვს, გამოჩნდება ქართველი მეცენატი, რომელსაც ხელეწიფება თითქმის მივიწყებული დიდი ფილოსოფოსების, მოაზროვნეთა ნაშრომების გამოცემა და მათი პოპულიზაცია, კონკრეტულად კონსტანტინე კაპანელისა, რითაც ავისმსურველებს ქართველი ერის ჩამორჩენილობაზე, დებილობაზე, კერპთაყვანისმცემლობაზე ცილისწამების სურვილს მოვუსპობთ.

ვრჩები გაზეთ **"ილორის"** ერთგულ მკითხველად,

**თენგიზ კუბლაშვილი**

# პენიტენციურ სისტემაში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება იქმნება



საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პენიტენციურ სისტემაში ახალი – **"გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება"** შეიქმნება. ახალი ტიპის დაწესებულება გათავისუფლებისთვის მოამზადებს დაბალი ან საშუალო რისკის იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც სასჯელის ამოწურვამდე 6 თვე აქვთ დარჩენილი. კონკრეტულად, ამ დაწესებულებაში მსჯავრდებულებს საშუალება მიეცემათ საპატიმროდან გათავისუფლებამდე განივითარონ პროფესიული და სხვა სახის უნარები, მიიღონ მათთვის საჭირო განათლება, მოაწესრიგონ პირად დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

ასევე, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს შესაძლებლობა ექნება სწავლის, მუშაობის ან სხვა პირადი საკითხების მოსაგვარებლად დროებით დატოვოს პენიტენციური დაწესებულება. გარდა ამისა, მას საშუალება ექნება დაწესებულებიდან გავიდეს უქმე და სადღესასწაულო დღეებში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ **„პატიმრობის კოდექსსა"** და თანმდევ საკანონმდებლო აქტებში მომზადებული ცვლილებების საფუძველზე სასჯელაღსრულების სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე ინერგება. სიახლეების შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა უწყების თანამშრომელთა პროფესიულ დღეს გამართულ ღონისძიებაზე ისაუბრა, რომელზეც მინისტრმა რეფორმების შესახებ ანგარიში წარადგინა და სამომავლო გეგმებზეც გაამახვილა ყურადღება.

# კიევში აღმოჩენილია სააკაშვილის ცოლის მიწისქვეშა სამალავი!



კიევში იჭერენ მარტოხელა ადამიანებს, ორგანოებად ანაწევრებენ და საიდუმლოდ მარხავენ. ადამიანთა ნეშტებით სავსე ჭა კიევის მახლობლად ნახეს. ჭა, რომელიც სავსეა პაკეტებში მოთავსებული ადამიანთა სხეულების ნაწილებითა და შინაგანი ორგანოებით, კიევის ოლქში, სასაფლაოზე აღმოაჩინეს. ამჟამად ჭის საზარელი შიგთავსი ექსპერტიზაზეა გაგზავნილი, პოლიცია კი არკვევს, ვის ან რა მიზნით შეეძლო შინაგან ორგანოთა მოთავსება ჭაში.

კიევის ოლქის იაგოტინის რაიონში საგანგებო ვითარების შესახებ უკრაინის ნაცპოლიციის პრესსამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს. უწყებაში დააზუსტეს, რომ თითოეულ პაკეტს მიმაგრებული ჰქონდა ბირკები სამედიცინო დიაგნოზით, თარიღითა და გვარით. ახლა პაკეტებს სასამართლო ექსპერტები შეისწავლიან.

სამართალდამცავები ადამიანთა ნეშტების საზარელი სამალავის შემქმნელებს ეძებენ. აღნიშნულ ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე **„განზრახ მკვლელობის"** მუხლით. ვარაუდობენ, რომ შენობა გამოიყენებოდა ორგანოთა გადანერგვის მიწისქვეშა ლაბორატორიის დამუშავებული ბიოლოგიური მასალის საცავად.

ადგილობრივი მედია პოლიციის წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ მიწისქვეშა საცხედრეს შემთხვევით წააწყდნენ სატრაქტორო სამუშაოებისას, როცა გადაწეული იქნა ბეტონის ფილა, მიწისქვეშა ჭას რომ ფარავდა, საიდანაც საშინელი სუნი ამოიდიოდა.

ქვემოთ ჩასულმა მუშებმა ადამიანთა ნეშტებით სავსე ცელოფნის პაკეტები აღმოაჩინეს, მითითებული გვარებით, თარიღებითა და დიაგნოზებით.

**„მიმდინარეობდა ცენტრალური სასაფლაოს საზღვრების გასაფართოებელი გეგმიური სამუშაოები. და იქ აღმოჩენილი იქნა კაპიტალურად გაკეთებული ჭა. შემდეგ, როცა ბეტონის თავსახური ავხადეთ, დავინახეთ ძალიან კარგად შეფუთული პაკეტები. საკმაოდ ბევრი"**, – მოუთხრო ჟურნალისტებს შპს **„რიტუალის"** დირექტორმა იგორ სმაგლიმ.

შეაჯერა და გააანალიზა რა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, საქინფორმი აცხადებს, რომ აღმოჩენილი საცავი უკავშირდება საქართველოში, სამეგრელოში სხვადასხვა მიწისქვეშა სამალავების მოწყობის მოყვარული, ოდესის ამჟამინდელი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის (სააკიანცის) იურიდიულ მეუღლეს. სანდრა რულოვსი კი, მეტსახელად **„სანდრა–მფატრავი"** ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში როგორც ადამიანთა ორგანოების მსხვილი მიმწოდებელი.

მიშასა და სანდრას ოჯახური ბიზნესი დაიწყო საქართველოში, სადაც სპეციალურად ხოცავდნენ უნებლიე დონორებს – პატიმრებს, რაც შემდეგ წარმატებით გაგრძელდა საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში. თუმცა, **„ნაციონალური მოძრაობის"** ზუგდიდის მაჟორიტარობის ამჟამინდელი კანდიდატი სანდრა რულოვსის საქმიანობამ განსაკუთრებით ფართო გაქანება პოვა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების და დონბასის ომების დროს. ამიტომ, საქინფორმი ვარაუდობს, რომ საცავში ინახება არა მარტო მარტოხელა ადამიანების, არამედ სამხრეთ უკრაინის ომში მონაწილე უბედური ჯარისკაცების ორგანოებიც. ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში მყოფი სამხედრო ექიმები პირადად სანდრას ექვემდებარებოდნენ, რომელიც დაჭრილებისა და ტყვეების დახოცვას უბრძანებდა და ასწავლიდა, როგორც ამოეკვეთათ სწორად ორგანოები, რათა ისინი არ დაეზიანებინათ.

აღმოჩენილ საცავში ჩაყრილი ადამიანთა ორგანოების რეალიზება, როგორც ჩანს, სანდრამ ვერ მოასწრო, რადგან სასწრაფოდ გაემგზავრა საქართველოში – საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის და ექსმმართველი პარტია **„ნაცმოძრაობის"** წინასაარჩევნო კამპანიის სათავეში ჩასადგომად, რომლის დამფუძნებელიცა და სპონსორიც მისი იურიდიული ქმარია, საქართველოს ექსპრეზიდენტი და ძებნაში მყოფი სისხლის სამართლის დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი.

**საქინფორმი**

# ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს მთავრობის ინიციატივით ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია იწყება, რომლიც 2020 წელს დასრულდება.

2016 წელს რებილიტაციაზე, სახელმწიფოს მიერ მილიონ სამასი ათასი ლარია გამოყოფილი. მთლიანობაში, მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის 14 მილიონი ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს სრულად საქართველოს მთავრობა აფინანსებს.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია, IV-VIII სს. ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დედაქალაქ **„ციხეგოჯს", „არქეოპოლისს"** წარმოადგენდა.

ეგრისის მეფეთა რეზიდენცია განლაგებული იყო 20 ჰექტარზე და სამი ნაწილისგან შედგებოდა: მთავარი – ქალაქის ქვედა ნაწილი; მონაკვეთი ფერდობზე – გარნიზონისთვის და მთის პლატოზე მოთავსებული შიდა ციხე. სამნაწილიანი ქალაქი გარშემორტყმული იყო IV, V და VI საუკუნეებში აგებული სამი მტკიცე კედლით.

სხვადასხვა დროს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ნოქალაქევის ტერიტორიზე აღმოჩენილია გალავან-სამზღუდი, ანტიკური ხანის ციტადელის ეგრისის მეფეთა სასახლეების ნაშთები (IV-VI სს.), სამეფო და სამოქალაქო აბანოები, წყალსაცავი (IV-VI სს.), მდინარეზე გამავალი საიდუმლო გვირაბი, IV-VI საუკუნეთა ეკლესიების არქეოლოგიურად გამოვლენილი ნაშთები, XVI-XVIII სს. მხატვრობით შემკული „ორმოც მოწამეთა" გუმბათიანი ტაძრი (VI ს.) და სხვა ღირშესანიშნაობები.

დღეისთვის ფუნქციონირებს არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები (ძვ. წ. II ათასწ. – XIX ს.).

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის დაცვისა და გადარჩენის მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, კომპანია **„საქართველოს მემკვიდრეობამ"** ისტორიული ეგრისის (დასავლეთ საქართველო IV-VIII სს.) სამეფო დედაქალაქის – **„ციხეგოჯი" „არქეოპოლისის"** განვითარების, 22 ცალკეული კომპონენტისგან შემდგარი რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კომპონენტების შესრულება შესაძლებლობას იძლევა, მომზადდეს ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენი შესაბამისი ნომინაცია.



ილორი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დოლარები, მროკავები და პირდაფჩენილი მაყურებელი“

ალექსანდრე შენგელია

## სარვაოქტომბრო ფიქრები

**“კაკაბეთის ზარების”** შემდგომ ამ ციკლის ერთ-ერთი მორიგი გადაცემით ტელეჟურნალისტები გოდერძი უშვერიძე და მინდია თავაძე მაყურებლის წინაშე ფრიად საინტერესო ნაწარმოებით წარსდგნენ: უჩვენეს, როგორ ამახინჯებდა მოზარდი თაობის სულს ქურდული სამყარო. ამ ორიდან დღეს ცოცხალი აღარც ერთი არ არის, თორემ, ჩვენდა სამარცხვინოდ, პენსიად ზუსტად იმავე თანხას მიიღებდნენ, რამდენსაც ის, ვინც თავისი ცხოვრე-



1979 წლის 17 ოქტომბერი,სოფელი კაკაბეთი. სახალხო ყრილობის დაწყების სამზადისი. კადრში გადაცემის რეჟისორი ნინო ქართველიშვილი, ტელევიზიის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რეჟისორი ოთარ თალაკვაძე და ალექსანდრე შენგელია;

ბისეული მაგალითით ბიჭებს გვპარავდა.

დღეს 180-ლარიანი პენსიის მოლოდინით ცხოვრობს ტელევიზიიდან არც თუ სასიქადულო პერიოდში ასობით სხვა თანამშრომელთან ერთად უნამუსოდ „ჩარეცხილი“ დიდბუნოვანი ქალბატონი ნინო ქართველიშვილიც, რომელიც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ლეგენდად ქცეული **„კაკაბეთის ზარებისა“** და პირადად ჩემი ავტორობით შექმნილი ისეთი გადაცემების შეუცვლელი რეჟისორი გახლდათ, როგორიც იყო **„რისხვით შეკრული მუშტი,“ „მიწა რომელიც იწვის“, „მივლინება ჯოჯოხეთში“, „სირცხვილის ფერი ასკილი“** და მრავალი სხვა.

მერე რა, რომ თავად არავითარი პრეტენზია არ გააჩნია? მე მაინც გულახდილად ვიტყვი: ბედის მწარე დაცინვად მიმაჩნია, რომ, ზემოთქმულის მიუხედავად, მისთვის ტელევიზიის წინ დღემდე არც ვარსკვლავი გაუხსნიათ და არც ის არავის გახსენებია, რომ უამრავ **„ღირსეულთაგან“** ვინმეს ღირსების ორდენის გადაცემა მოეფიქრებინა, ან თუნდაც დამსახურებულის წოდება მიენიჭებინა. არადა, გულწრფელად რომ ვთქვა, ქალისაგან, თანაც ახალგაზრდა ქალისაგან, ყოველგვარ დღემდე გახმაურებულ გმირობას აღემატებოდა სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ იმდროინდელი მისეული თავგანწირვა და შემართება.

* * *

ახლახან გულის ურთულესი ოპერაცია გაიკეთა ალეკო ასლანიკაშვილმა, რომელიც გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკას“** კარგა ხანს რედაქტორობდა. საინტერესო ხელწერის ამ ჟურნალისტმა მკითხველისათვის ყველაზე ადრე ხელ- და თვალმისაწვდომი გახადა გასული საუკუნის 60-იან წლებში განხილული ე.წ. სუსლოვის დოქტრინა.

**„საქართველოს რესპუბლიკიდან“** ეს სტატია უცხოეთში მცხოვრები ქართულენოვანი განფენილობის თითქმის ყველა ემიგრანტულმა ჟურნალ-გაზეთმა დაუყოვნებლივ გადაიბეჭდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ცნობილი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, სულგანათლებული კარლო ინასარიძე და მისი ჟურნალები – **„მებრძოლი საქართველო“** და **„მესამე დასი“**. ორივე ეს ჟურნალი დოქტრინის ტექსტს ყოველ ნომერში საგანგებოდ ბეჭდავდა.

ალეკო ასლანიშვილსაც 20 ლარით სულ ახლახან გაუზარდეს პენსია, თუმცა რასაც დღეს იღებს, 100 დოლარზეც კი ჯერ კიდევ იმდენივე პროცენტითაა ნაკლები, რამდენი პროცენტითაც დააზარალეს ჩვენი ქვეყანა გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ ჩამოჭრილი საქართველოს განუყოფელი ნაწილებით – აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი!

* * *

კარგა ხნის წინათ მეგობრებთან ერთად დიდი დაკვირებით გავეცანი როგორც სიას, ისე იმ თანხებს, რომლითაც **„ქართუ ბანკი“** ხელს უმართავდა და დღესაც ხელს უმართავს საქართველოს ინტელიგენციას. ამ სიებში ბევრი საამაყო სახელი, მათ შორის არა ერთი ჩემი უახლოესი მეგობრის გვარი ამოვიკითხე, მაგრამ ფრიად გამიკვირდა, რომ ვერსად წავაწყდი ვაჟა გავაშელს, თუმცა, მას **„ქართუ ბანკის“** სულისჩამდგმელი არც თუ ცუდად იცნობს, რადგან არა თუ მის გუნდშია და მასთან ერთად იბრძოდა იმ დიდი კატაკლიზმისათვის, რომელიც 2012 წელს განხორციელდა, არამედ ფაქტობრივად მისი **„კარის მეზობელიცაა“**.

არადა, ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებო, ის მაინც არასდროს დამავიწყდება, რომ იმ 9 წლის მანძილზე, როდესაც საქართველოს ტელევიზიაში სამართლისა და მორალის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ვაჟა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესის სამსახურს თავკაცობდა და ცისფერი ეკრანიდან მაყურებელს შესთავაზა **„კაცი, რომელიც არ იძირება“, „თხუნელები“** და რამდენიმე სხვა ისეთი საეტაპო ნაწარმოები, რომლებითაც მიზანდასახულად გაგრძელდა **„კაკაბეთის ზარებისა“** და **„რისხვით შეკრული მუშტის“** მაგისტრალური ხაზი. აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ იმ დროინდელი ტელევიზიის მიერ სათანადო ტექნიკით აღჭურვის უაღრესი შეჭირვების პირობებში ზემოხსენებულ გადაცემათა ჯგუფს მან დიდი დახმარება გაუწია როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოშველიებული აუდიო და კინოაპარატურით, ისე საკუთარი მანქანითა და ძმური თანადგომით. ჩვენთან მისი ამგვარი პირადი ურთიერთობითაც აიხსნება, რომ საქართველოს ტელევიზიის მიერ გამართული სასოფლო, სარაიონო და საქალაქო სახალხო ყრილობების მასალებზე დაყრდნობით ნეგატიური მოვლენების აღმოფხრის მიზნით ტელევიზიის მიერ გაჩაღებულ იმდროინდელ შეტევას საზღვარგარეთულმა პრესამ საბჭოურ სივრცეში გადადგმული პირველი დემოკრატიული ნაბიჯები უწოდა, ხოლო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების მაშინდელმა უმაღლესმა ხელმძღვანელებმა კი ოფიციალურად აღიარეს, რომ ზემოხსენებულმა გადაცემებმა საზოგადოებისათვის გაცილებით სასიკეთო და შორსმიმავალი რეალური შედეგები მოიტანეს, ვიდრე მათი უწყებების ყველაზე ძვირადღირებულმა და რიცხვმრავლობით გამორჩეულმა ოპერაციებმა.

ხელი გამირბის, ფურცელზე დავაფიქსირო ჭეშმარიტად სკანდალური ამბავი, რომელიც უკავშირდება გადაცემას **„კაცი, რომელიც არ იძირება“**.

გადაცემა ეყრდნობოდა უზუსტეს და როგორც ავტორის, ისე ტელევიზიის სათანადო სამსახურის მიერ მრავალგზის გადამოწმებულ მამხილებელ მასალებს იმ ეგრეთ წოდებულ **„ბაზარნიკზე“**, რომელმაც მოქრთამვითა და დღემდე კვლავ ფართოდ გავრცელებული ნათელ-მირონობით მრავალი დანაშაულის კვალი წაშალა, მათ შორის მოახერხა მკვლელობის მცდელობის პასუხისმგებლობიდან თავის გადარჩენაც. იგი გადაცემის შემდგომაც შეეცადა, არ **„ჩაძირულიყო“**. ნათელ-მირონების დახმარებითა და მავანთა მოსყიდვით საქართველოს ისე მალე აწვია საკავშირო პროფკავშირების მიერ გამოგზავნილ შემმოწმებელთა საგანგებო ჯგუფი, რომ ზემოხსენებული გადაცემის ავტორის, რეჟისორისა და სხვა შემოქმედებითი მუშაკებისათვის კუთვნილი ჰონორარი ჯერ კიდევ არ მქონდა გამოწერილი.

იმ 60 წლის მანძილზე, რაც ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში ვმუშაობდი, არ ყოფილა შემთხვევა არა მხოლოდ ჩემს საკუთარ მასალებზე, არამედ იმ პუბლიკაციების სანდოობაზე ამეცილებინა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩემი რედაქტირებით იბეჭდებოდა ან გადაიცემოდა, ამიტომ ამჯერადაც მანამდე, ვიდრე მოსკოველთა კომისია უშუალოდ ჩვენს კარს შემოაღებდა, თხოვნით მივმართე რადიოსა და ტელევიზიის იმდროინდელ თავკაცს.

– ბატონო ნუგზარ, რაც შრომატევადი სამუშაო შევასრულე, რომ გადაცემაში მოყვანილი ყველა ფაქტი გადამემოწმებინა და დამეზუსტებინა, ამაში არაფერს ვითხოვ. ეს სამსახურებრივად მევალებოდა, მაგრამ, სხვამ თუ არა, თქვენ მაინც ხომ კარგად იცით, რომ გადაცემას სათაური არ ჰქონდა და რაკი დავარქვი, საფასურად 5 მანეთის გამოწერის ნებართვას ვითხოვ-მეთქი.

როგორც ყოველთვის, არც ამჯერად გასჭირვებია, ვისი გვერდით ყოფნის სურვილის გამო დამჭირდა რამდენიმე ასეულ მანეთად ღირებულ გადაცემაში 5-მანეთიანი წილი და მეუბნება:

– არ დაგავიწყდეს, ჩემს მოადგილეს, ქალბატონ ივლიტა მესხიშვილს საჰონორარო უწყისზე მის ხელის მოწერამდე აუხსნა, რომ გადაცემის შესავალსა და დასკვნას რამდენიმე სტრიქონი შევმატე, ასე რომ ჰონორარიდან 5-მანეთიანი წილი მეც მეკუთვნის და გადაცემის თანაავტორი შენთან ერთად მეც ვარო.

მავანთა გაკვაჭ-გაიმასქნებული მონდომებით თბილისში მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულმა საკავშირო პროფკავშირების წარმომადგენლებმა საგულდაგულო შემოწმების შემდეგ გადაცემაში ვერავითარ სადავო დეტალს ვერ მიაგნეს, რათა მის **„ავტორებს“** შეგვდავებოდნენ და კაცი, რომელიც მანამდე არასდროს ჩაძირულა, ამჯერად სამართლიან მსჯავრს ვეღარ გადაურჩა.

შემთხვევით არ ვიხსენებ ზემოხსენებულს.

იუმორით გაძეძგილმა გიზო ნიშნიანიძემ, რომლის მოადგილე ვიყავი გაზეთ **„თბილისში“** ინფორმაციის განყოფილებაში მისი მუშაობისას, როცა გამორჩეულად საინტერესო თავისი ერთ-ერთი წიგნი მომიძღვნა, სამახსოვროდ წააწერა: **„ჩემს ალექსანდრეს, რედაქციაში ერთობლივი მრავალწლოვანი კატორღული შრომის აღსანიშნავად“**.

ტელევიზიაში, მით უფრო ამასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელად მუშაობა ვაჟა გავაშელისათვის ქანცგამწყვეტი კი არა, სწორედ რომ კატორღული შრომა გახლდათ, მაგრამ ამის საფასურად მას არც მახლობლის, არც მეგობრის, არც მეზობლისა და არც ხელმძღვანელისაგან საზღაურად არასოდეს არაფერი მოუთხოვია.

* * *

კვლავაც განვაგრძობ იმით, რითაც დავიწყე.

სატელევიზიო გადაცემაში, რომელსაც **„მოიპარეს ბიჭები“** ერქვა, ხაზგასმით იყო ნათქვამი,რომ მოზარდ თაობას რყვნის იმ ფუფუნების ყურება, რომელსაც მავანი უკანონოდ დაეუფლა.

ამ გადაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, 1979 წლის 17 ოქტომბერს კაკაბეთში, შინ მოუსვლელთა მემორიალის იმ საფლავთან, სადაც ამ სოფლისათვის უსაყვარლესი ობოლი და შინმოუსვლელი იმ ბიჭის სამუდამო განსასვენებელია, ომის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ ბელორუსმა ახალგაზრდებმა სრულიად შემთხვევით რომ აღმოაჩინეს და საქართველოში საგანგებოდ ჩამოასვენეს, წარმოშობით ბოდბისხეველმა ავლიპ ზურაბაშვილმა კაკაბელებს შესტირა: **„ძვირფასო მეზობლებო, კაკაბელებო! ჩემმა ბავშვობამ გაიარა დედულეთში, აქვე, თქვენს მახლობლად, სოფელ შიბლიანში. ეს რა უბედურება დაგემართათ, რომ თქვენს მეზობელს ფულის გამოძალვის მიზნით ჰყავდა მოტაცებული და გადამალული 12 წლის ბიჭი?“**.

მახსენდება გარეკახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დაბადებული და აღზრდილი დიდი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის სიტყვებიც, რომელიც ყველა სხვისაგან განსხვავებით იმ უაღრესად ღირსახსოვარ დღეს ზეპირად კი არ წარმოუთქვამს, არამედ ფურცელზე ჰქონდა საგულდაგულოდ ჩაწერილი და წაიკითხა.

მე დღესაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები ამ გაყვითლებულ და გაცრეცილ ფურცლებს. მით უფრო, რომ მასში უამრავ სხვასთან ერთად იმ კითხვის პასუხიც არის, ბატონ ავლიპს რომ აწუხებდა და დღესაც ბევრს აწუხებს.

ყური მიუგდეთ და თავად განსაჯეთ, არის თუ არა ასე?

**“– სანამ ჩვენს გვერდით ფასი ექნება პარვით აღზევებულთ”** – ბრძანა იმ დღეს სულგანათლებულმა და განავრცო: **“სანამ ამ მპარავთ, იოლად გამდიდრებულთ, საშუალება ექნებათ პარპაშისა, ათასებისა და ათიათასების ტრიალის ყველას თვალწინ, ყოველთვის იქნება მოსალოდნელი ყოველი სახის უსაშინელესი დანაშაულებანიც.**

**წინ აღვუდგეთ, აღვკვეთოთ თითქოსდა ეს უმტკივნეულო პარპაში და აღვკვეთავთ მძიმე დანაშაულებებსაც!**

**ნუ გავუწვდით სირცხვილის ჭუჭყით მოსვრილ ხელს ჩვენს კაცურ მარჯვენას და თუ გავუწვდით, ამ ჭუჭყიანი ხელის პატრონმა იგრძნოს, რომ მოვიდა მისი ავკაცობის შემმუსვრელი ძალა“.**

მახსენდება საკმაოდ დიდი ხნის წინათ უცხოეთში გადაღებული და საქართველოში ფართოდ გახმაურებული სიუჟეტი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს, თუ საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ყოფილი დეპუტატი ხელში კი არ ატრიალებდა, არამედ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ცეკვავდა და თელავდა იატაკზე საგანგებოდ ამ მიზნით დაფენილ ათიათასობით მწვანე დოლარს. ამიტომ, დღეს, როდესაც ამ უზნეობის მაყურებელი და ბანის მიმცემი ცდილობს, თავის გუნდთან ერთად შევიდეს პარლამენტში, საიდანაც წლების წინათ მისი ყოფილი თანამეინახე სამარცხვინოდ გამოაძევეს, მას და მის ამფსონებს არა მარტო მე არ მივცემ ხმას, არამედ მეგობრებსა და ნაცნობებსაც ვურჩევ, მხარი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ.

ეს თუნდაც იმიტომ, რომ პიროვნულად ვერასდროს ვერაფრით გაუტოლდება საქართველოს ჭეშმარიტ ბულბულს, საოცრად დახვეწილი ზნეობის კაცს ჰამლეტ გონაშვილს.

არასდროს დამავიწყდება მისი ცხოვრებიდან ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი, რაც გამორჩეულად თუნდაც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ უშუალოდ ჩემთან არის დაკავშირეული, თანაც მისი სულიერი სიწმინდის მკაფიოდ წარმომჩენი შტრიხია.

გუშინდელ დღესავით მახსოვს: მისი თანამეინახე მეზობლების თხოვნას, გვიმღერე რამეო, მან ქიზიყური პირდაპირობით, თან მთელი სუფრის გასაგონად უპასუხა: **„ამ თხოვნის უფლება მხოლოდ ჩვენს სტუმარსა აქვს, იმ გადაცემის ავტორს, რომელსაც „ვენდოთ ანაგელებს“ ერქვა! იგი ჩვენს რაიკომის მდივანს, ბატონ თამაზ ქევხიშვილს საქეიფოდ სიღნაღში არ გაჰყვა, მოუბოდიშა: ჰამლეტს დავპირდი, ანაგაში წაგყვები და სიტყვას ვერ გავტეხავო“**.

მას რომ ვიხსენებ, ახლაც ყურში ჩამესმის მის მეგობრებთან ერთად იმ



ვაჟა გავაშელი (მარცხნიდან მეორე) სამართლის და მორალის განყოფილების მუშაკებთან მერაბ ხაჩიძესთან სოსო ტყებუჩავასთან და ალექსანდრე შენგელიასთან ერთად.

საღამოს ჩემი თხოვნით შესრულებული **„წინ წყარო“** და მაგონდება, სრულიად მოულოდნელად როგორ დაიღუპა ეს ალალი და ყოველმხრივ გულმართალი კაცი, როცა შეეცადა, მეზობლისათვის მიცემული სიტყვა არ გაეტეხა და მისი ეზოდან გადასულ ხის ტოტებს სხვის ეზოში არაფერი დაეჩრდილა.

* * *

შემთხვევით არც კაკაბელი ობოლი ბიჭი გამხსენებია, არც მის სამუდამო განსასვენებელთან გამართულ სახალხო ყრილობაზე რეზო ინანიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები, არც საოცარი ხორხისა და ზნეობის მქონე ჰამლეტ გონაშვილი და კეთილად მოსახსენებელთა ამ ფონზე არც ქურდობას დანატრებული ყოფილი ბიჭბუჭები, რომელთაგან უდიდესმა უმრავლესობამ სწორ გზას მიაგნო და კაცადაც ჩამოყალიბდა.

*(გაგრძელება მე-11 გვერდზე)*

# რეზო ჩხეიძე: აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი ის საზიზღარი აგრესორია!



გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორ, აწგარდაცვლილ რეზო ჩხეიძეზე ცოტა ხნის წინათ ფილმი გადაიღეს. **«ჩვენ ჩვენი ფესვებიდან მოვდივართ»** – ასე ჰქვია მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს, რომელშიც დიდი რეჟისორის ცხოვრება და მოღვაწეობაა ასახული. რამდენიმე დღის წინათ კი ბატონი რეზოს ხელის ანაბეჭდის ცერემონიაც გაიმართა. რაც მთავარია, ხელისუფლებამ რეჟისორს ქუთაისში დაუბრუნა სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა. მალე ეს სახლი გახდება კინოსკოლა, აგრეთვე, მუზეუმი, რომელშიც გამოიფინება ბატონი რეზოსა და მისი მამის, საზოგადო მოღვაწის – დავით ჩხეიძის, იმავე დია ჩიანელის ნივთები. იგონებდა რეჟისორი:

– მამა დია ჩიანელი, დასავლეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი, აგრეთვე, პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი გახლდათ. მამა 1937 წელს დახვრიტეს, 45 წლისა... რიონის პირას, ოქროს ჩარდახის გვერდით, ე.წ. სამეფო უბანში, თეთრ ხიდთან ვცხოვრობდით. იქ ახლაც დგას უძველესი მაგნოლია, რომელსაც კოლაუ ნადირაძემ მშვენიერი ლექსი მიუძღვნა. ჩვენს ოჯახში დადიოდა გალაკტიონი, ტიციანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი გამოჩენილი ადამიანი. სხვათა შორის, ლადო ასათიანი მამაჩემის მოსწავლე იყო. როდესაც მამა დახვრიტეს, ლადოს უთქვამს, დია არ არის ქუთაისში და ამ ქალაქში მე როგორ გავჩერდეო და თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად. მამას დაპატიმრების შემდეგ **«ხალხის მტრის შვილი»** გავხდი, მაგრამ სკოლის დირექტორმა თამარ დახუნდარიძემ თავის კაბინეტში შემიყვანა, გულში ჩამიკრა და მითხრა, არ ინერვიულო, მამაშენი პატიოსანი კაცია, ძველებურად განაგრძე სწავლა და შენს გვერდით ვიდგებიო. იმხანად ასეთი საქციელი სასწორზე სიცოცხლის დადებას ნიშნავდა. მამას დახვრეტის შემდეგ სახლიდან გამოგვასახლეს და ჩვენთვის უცნობმა ადამიანმა, ვანო მაჭავარიანმა, რომელმაც სახლის წინ, ფუთებზე ჩამომსხდარი დაგვინახა, წაგვიყვანა და 6 თვის განმავლობაში თავის სახლში გვაცხოვრა. ერთმა ჩეკისტმა კი გამოსახლებისას ნუსხაში არ შეიტანა ჩვენი როიალი, რომელიც გავყიდეთ და რამდენიმე თვის განმავლობაში ამ თანხით გავიტანეთ თავი. 1938 წელს, თბილისში რომ გადმოვედით საცხოვრებლად, გოგლა ლეონიძემ დედა – **«ხალხის მტრის»** ცოლი, ლიტერატურის ინსტიტუტში მიიღო სამუშაოდ. განა ეს საოცრება არ არის?

1973 წელს ფილმ **«ნერგებს»** რომ ვიღებდი, თან მახლდა მეგობარი შოთა ლაფერაძე, რომლის მამაც 37 წელს დახვრიტეს. მოვიძიეთ ის ადგილი, სადაც ჩვენი მამები დახვრიტეს და მე, შოთა ლაფერაძემ და ირაკლი ჭუმბურიძემ დავდგით მემორიალური ძეგლი. 1995 წელს ეს ადგილი უწმინდესმა აკურთხა და ყველა, ვინც იმ ადგილას დახვრიტეს, წმინდანად შერაცხა. სხვათა შორის, 1937 წლების მოვლენებზე რა ფილმი და ნაწარმოებიც არის გადაღებული და დაწერილი, მცდარი ან გაზვიადებულია, რადგან არც კა-გე-ბე იყო ისეთი მონსტრი, როგორადაც წარმოაჩენენ, და არც ადამიანები იყვნენ ისე გადაგვარებულნი, რომ სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებად ანონიმური წერილები ეწერათ. რა თქმა უნდა, ასეც ხდებოდა, მაგრამ არა იმ დოზით, როგორითაც ისტორიას შემორჩა.

რამდენიმე წლის წინათ შევიტყვე, რომ ქუთაისში, ხახანაშვილის 14-ში მდებარე ჩემი სახლი იყიდებოდა, მაგრამ მის ყიდვას თავი ვერ მოვაბი. შარშან კი ამ სახლის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა შეიტყო, შეისყიდა და მე გადმომცა. იქ გაკეთდება შემოქმედებითი სახლი **«ჯარისკაცის მამა»**. ამ სახლში იმუშავებს კინოსკოლა და ჩემი და მამას მუზეუმი, რომელსაც ინეზა ავალიანი უხელმძღვანელებს. უზარმაზარი ფილმოთეკა მაქვს, რომელსაც ამ კინოსახლში მივიტან. ეს მართლაც დიდი საჩუქარია ქუთაისისთვის.

**– ბატონო რეზო, საქართველოში შექმნილ ვითარებას როგორ შეაფასებთ?**

– სააკაშვილი ქვეყნიდან გააგდეს, თუმცა **«ნაციონალები»** დარჩნენ. ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიულად მიუდგეს მათ, მაგრამ მაწუხებს ეს ამბავი, რადგან **«ნაციონალებთან»** თეთრი ხელთათმანებით ბრძოლა არ შეიძლება. ხომ ხედავთ, რა ხდება? გამწარებული ადამიანები თავის გამამწარებელსა და ამომგდებს თვითონ უსწორდებიან ქუჩაში. გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო. **«ნაციონალებმა»** თავი მას შემდეგ წამოყვეს, რაც ივანიშვილი ჩრდილში გადგა. სიმართლე გითხრათ, ბატონ ბიძინა ივანიშვილის დიდი პოლიტიკიდან წასვლა ჩემთვის თავიდანვე გაუგებარი ნაბიჯი იყო. როდესაც ეს გადაწყვეტილება გაახმაურა, ვკითხე, სად და რატომ მიდიხარ-მეთქი, რაზეც მიპასუხა, პირიქით – ახლა მოვდივარო... ცხადად ჩანს, რომ დღევანდელი ხელისუფლება, ამერიკელების გავლენით, ლიბერალიზმის გზას დაადგა. ამერიკა მსოფლიოშია გაბატონებული და ცდილობს, ქვეყნები შიშით ან ფულით ჩაიგდოს ხელში. ადრე, ჯონ კენედის პრეზიდენტობის ჩათვლით, აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი საზიზღარი, აგრესორია. ადრეც და ახლაც მრავალჯერ ვარ ამ ქვეყანაში ნამყოფი და, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან ძველი და ახლანდელი. ცხონებულმა სოფიკო ჭიაურელმა თქვა, ქართველებმა ცურვა არ ვიცით და ოკეანის გადაღმა რა გვესაქმებაო, – ზუსტად ასეა ჩვენი საქმე. მართალია, საქართველო ილიასა და აკაკის ეპოქაში რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც ზოგი წერს. რუსეთმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთა საქართველოსთვის. დავიწყოთ კულტურით. რომ არა რუსეთი, ილია ჭავჭავაძე და **«სამოციანელები»** არ იქნებოდნენ, რადგან ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპული კულტურა საქართველოში აღარ შემოდიოდა. ერთადერთი გზა, რომელიც დაგვრჩა, პეტერბურგი იყო და ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმაც ამ ქალაქის უნივერსიტეტში მიიღეს განათლება. გაიხსენეთ ჩვენი კლასიკოსები, მეცნიერები, იმჟამინდელი განათლების დონე. ქართული კინო მსოფლიოში წამყვან პოზიციაზე რომ იდგა, სწორედ რუსეთის დამსახურებაა. ყველა გამოჩენილმა რეჟისორმა მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი დაამთავრა... როდესაც მე და თენგიზ აბულაძე მოსკოვში ჩავედით, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით და **ВГИК**-ში (**ВГИК – Всесоюзный Государственный Институт Кинематографии**) განცხადება რომ შევიტანეთ, პირველი კურსიდან სწავლის დაწყება მოვითხოვეთ, ამის გამო ვგიკის რექტორმა დაგვიბარა და გვითხრა, ბიჭებო, რა გჭირთ, მესამე კურსის სტუდენტები ხართ, შემიძლია, გამოცდების ჩაბარების შემდეგ აქაც პირდაპირ მესამე კურსზე დაგსვათო. შემავსებინეს სპეციალური ანკეტა, რომელშიც ჩავწერე, რომ თავადიშვილი ვიყავი, რომ მამა მუშაობდა ბიბლიოთეკაში და 37 წელს დახვრიტეს, როგორც ტროცკისტი. ამ კაცმა აიღო ეს ფურცელი და გადახია. მითხრა, რას შვრებიო? შემდეგ ახალი ფურცელი მომცა და თავისებურად დამაწერინა. დიახ, ეს რუსმა, აბსოლუტურად უცხო ადამიანმა გააკეთა. ამერიკელი ასე მოიქცეოდა?

მიმაჩნია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გეზი რუსეთისკენ უნდა აიღოს. ჯერ ერთი, მეზობელი სახელმწიფოა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მეორეც – მართლმადიდებელი ქვეყანაა და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვიცნობთ რუსეთს. რომ არა ჩვენი შიში ამერიკისა, უკეთ განვითარდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთი ახლაც კი აკეთებს ბევრ კარგს ჩვენს დასახმარებლად. ბოლო ფილმი, რომელიც ჩემზე გადაიღეს, რუსეთმა დააფინანსა და არა ამერიკამ. ასეა, დილით რომ ადგები და ფანჯრიდან გაიხედავ, ჯერ მეზობელს დაინახავ და შემდეგ – მზეს.

**– NDI-ის კვლევებს როგორ შეაფასებთ. ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პატრიარქის შემდეგ (96 %), ყველაზე მეტად თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია მოსწონთ (67%), მას ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილი (64%) და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოჰყვებიან.**

– გამორიცხულია, პატრიარქს და ვიღაცას ლამის თანაბარი რეიტინგი ჰქონდეთ. ვინ არიან უსუფაშვილი ან ალასანია?! დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც **ენ-დი-აი**-ა ოდესმე სიმართლეს გამოაქვეყნებენ, ძალიან ცდება. ავტორიტეტში კი პატრიარქს ნურავინ გაეჯიბრება, ის ათასი თავით მაღლა დგას ყველაზე.

**– საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

– ვიცი, რომ პოლიტიკურად თავისუფლად ცხოვრებას არაფერი სჯობს, მაგრამ არსებულ ვითარებაში, როდესაც ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირების ფონზე გვიწევს არსებობა, გვაქვს მთელი რიგი მოუგვარებელი საკითხებისა, მაგალითად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება და ა. შ. ამიტომ მგონია, რომ ამ პერიოდისთვის საჭიროა, უფრო მეტად დავდგეთ რუსეთის მხარეს და თავი დავანებოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ სახელმწიფოების მოფერებას, რომლებიც ამერიკას ყურით უჭირავს. მე მაინც მართლმადიდებელ კერას ვარჩევდი, რუსეთის სახით, იმ კერას, სადაც უმაღლესი განათლება ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ბარნოვმა და უამრავმა გამოჩენილმა ქართველმა მიიღო. კინემატოგრაფისტები, რომლებმაც ქართული კინოფენომენი შევქმენით, ყველანი **ВГИК**-ელები ვიყავით.

**– ბატონო რეზო, დღეს მათ, ვინც ასე ფიქრობს და აზროვნებს, მოღალატეებსა და რუსეთუმეებს უწოდებენ....**

– მათ არ ვაქცევ ყურადღებას, თუმცა ჩემთვის პირში არავის უთქვამს მსგავსი რამ.

**ესაუბრა ნინო მაისურაძე**

# დოლარები, მროკავები და პირდაფჩენილი მაყურებელი“

*(გაგრძელება მე-10 გვერდიდან)*

ჩვენდა სავალალოდ დარჩნენ ისეთებიც, რომლებმაც დანაშაულთა ლაბირინთს თავი ვერ დააღწიეს და **„ნულოვანი ტოლორანტობის“** შიშით ქვეყნიდან გადაიხვეწნენ. მათთან დაკავშირებით დღეს საზღვარგარეთიდან ოფიციალურად მოდის საგანგაშო სიგნალები. მათ შორის ისეთი ვიდეოჩანაწერებიც, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.



**პირველ სახალხო ყრილობაზე, რომელიც საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში გაიმართა, სულისშემძვრელი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიკოსმა ავლიპი ზურაბაშვილმა;**

მათი საქციელი სახელს უტეხს საქართველოს და ბევრ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას უქმნის ჩვენს იმ თანამემამულეებს, რომლებისთვისაც უცხოეთში მუშაობა ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიანთი უმძიმესი, არც თუ იშვიათად შეურაცხმყოფელი, მაგრამ ძირის ძირამდე პატიოსანი შრომით როგორმე არჩინონ სამშობლოში ულუკმაპუროდ და უსასოოდ დარჩენილი ოჯახები.

ამას ხაზგასმით იმიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის, ქართველი ერისა და მისი გამორჩეული ზნეობის გადასარჩენად დღეს განსაკუთრებული აუცილებლობაა ადამიანებში ადამიანურობის შენარჩუნება.

ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ესეც გვავალდებულებს, ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქროთ „ძე-შეცდომილებზე“ თუნდაც იმიტომ, რომ პოეტი არც თუ შემთხვევით შეახსენებს ჩვენს სამშობლოს **„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“**

არსებობს კი იმის შესაძლებლობა, რომ შვილები არ დავკარგოთ?

საბედნიეროდ, არსებობს, ნამდვილად არსებობს, თუ ხელი არასდროს აგვიკანკალდება მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ზუსტი ორიენტირებისათვის ნიშანსვეტის შერჩევისას.

ამ ნიშანსვეტად ჭეშმარიტ ერის კაცთა და ერის სახელოვან მანდილოსანთა კაცობისა და ქალობის პირადი მაგალითი უნდა გახდეს და არა მავანთა მიერ ხალხის თვალწინ გამომწვევად აფრიალებული მწვანე დოლარები, ამ დოლარებზე მროკავები და პირდაბჩენილი მაყურებლები!

**ალექსანდრე შენგელია,**
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,**
**ღირსების ორდენოსანი, ქუთაისის**
**საპატიო მოქალაქე**

# ბაკურ სვანიძე: ხუნტრუცა თინავ! რეგვენთა და დემაგოგთა ბანდა ხართ!

„მემარცხენე ალიანსის“ ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბაკურ სვანიძე რესპუბლიკური პარტიის წევრს, ზესტაფონის მაჟორიტარობის კანდიდატს თინა ხიდაშელს მიმართავს:

**ხიდაშელი: „ილია ჭავჭავაძე იყო ლიბერალი და ჩვენც, რესპუბლიკური პარტია, ვართ ლიბერალები. ჩვენ ერთადერთი პარტია ვართ საქართველოში, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიას ეფუძნება“.**

**„მართალია, ჩავბჟირდი სიცილით, მაგრამ აი ეს ტუტუცი, რეგვენი დედაკაცი ძალიან საშიშია ქვეყნისთვის!**

**ხუნტრუცა თინავ! საქმე ისაა, რომ ილია ჭავჭავაძე იყო მართლა დიბერალი! თქვენ კი „ლიბერალიზმს“ ამოფარებული სახელმწიფო დამნაშავეები ხართ! მაგ ლიბერალის უმთავრესი დევიზი იყო – „ენა! მამული! სარწმუნოება!“ აბა, რომელს მიჰყვება და ეთანხმება ეგ თქვენი ვითომ „ლიბერალური“ პარტია? თქვენ ისეთი „ლიბერალები“ ხართ, როგორც ჰიტლერი იყო ინტერნაციონალისტი!**

**თქვენ სინამდვილეში ხართ უზნეო და სამშობლოს გამყიდველები! „ლიბერალიზმი“ თქვენი საფარია მხოლოდ!**

**ჰო, კიდევ – „ბიძინა ივანიშვილთან მიჰქონდათ ჭორები და ამ ჭორების მსხვერპლი გავხდით ჩვენო“ – რომ გაიძახი, ნეტავ ერთი შენზე მეტი ჭორიკანა და ნაძირალა ვინ იყო მანდ? არაერთი მართლა ერთგული და ჭკვიანი ადამიანი სწორედ შენმა შხამიანმა ენამ მოაშორებინა ბიძინას!**

**რა იყო, ვეღარ აგოიმებ და გამწარდი? ისე არ მინდა მოვკვდე რომ შენნაირი რეგვენი და სულით ნაგავი ადამიანების პარპაშის დასრულება არ ვნახო ამ ქვეყანაში, ჩემი თვალით! რომ მიედმოედებით – „ილია ჭავჭავაძემაც უცხოეთში მიიღო განათლება და ჩვენ რატომ გვიკიჟინებთ, რომ ახალგაზრდებს უცხოეთში სწავლისკენ მოვუწოდებთო?“ – თქვე მართლა ჩლუნგებო! ილიამ და სხვებმა უცხოეთში იმიტომ მიიღეს განათლება, რომ მაშინ საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა!**

**შემდეგ ამ ხალხმა საკუთარი ლამის სიცოცხლის ფასად სწორედ იმიტომ იბრძოლეს ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად, რომ ქართველი ახლაგაზრდობა უცხოეთში არ გაქცეულიყო!!! ლიბერალები და ილია ჭავჭავაძის მიმდევრები კი არა, რეგვენთა და დემაგოგთა ბანდა ხართ თქვენ!“** – მიმართავს სვანიძე ხიდაშელს.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# მსუბუქი, როგორც დილის ნისლი — ძალიან საინტერესო რუსული სტატია გიორგი ლორიაზე



პოპულარულმა რუსულმა სპორტულმა საიტმა **championat.com**-მა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლორიას საინტერესო სტატია მიუძღვნა.

შეგახსენებთ, რომ სამარის **"კრილია სოვეტოვის"** ქართველმა მეკარემ რუსეთის პრემიერლიგის საწყის ოთხ ტურში წარმატებული თამაშით არაერთხელ დაიმსახურა გულშემატკივრების, სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ყურადღება. ბოლო ტურში კი, სტუმრად მოსკოვში ჩატარებულ **"ლოკომოტივთან"** მატჩში, რამდენიმე შთამბეჭდავ **"სეივს"** მოგერიებული 11-მეტრიანიც მიაყოლა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

**"ლოკომოტივთან"** მატჩამდე რამდენიმე დღის წინ გიორგი ლორიას მამა გარდაეცვალა. ნუგზარ ლორია დიდხანს ებრძოდა ონკოლოგიურ დაავადებას, მაგრამ ამქვეყნად ყველა ბრძოლა ერთ დღეს სრულდება. საკითხავი მხოლოდ ისაა, დანებდები შენ თუ არა.

გიორგისთვის არ დასმულა საკითხი — გასულიყო მოსკოვში მოედანზე თუ არა. რა თქმა უნდა, დანებება არ შეიძლებოდა. ეს მან მამისგან იცოდა — უნდა ითამაშოს, ყოველთვის. ნუგზარ ლორია მსახიობი და რეჟისორი იყო და საერთოდაც, მეკარის ხელოვანთა ოჯახში სიტყვა **"თამაში"** ყოველთვის მთავარი იყო.

ამიტომაცაა ლორია მთავარ როლში **"კრილია სოვეტოვში"**. გუნდში, რომელიც ულტრაპრაგმატულ ფეხბურთს თამაშობს დაცვაზე ორიენტირებული 6-7 მცველით, შემოქმედია საჭირო. ლორია ასეთი გახდა, ის ლამაზად და შთამბეჭდავად თამაშობს. მისი სეივები ყოველთვის ხვდება ყველაზე ეფექტურებს შორის და ამას მისი კოლეგებიც აღიარებენ.

ამ სეზონის დასაწყისში ლორიას მიერ მოგერიებული დარტყმების პროცენტული მაჩვენებელი 90%-ია. ბოლო სამ მატჩში მის ანგარიშზე 20 სეივია, მათ შორის, მოსკოვში მოგერიებული პენალტი.

ლორიას არაფრით შეეძლო ამ პენალტის გაშვება — მანამდე 30 წამით ადრე მან ექვსიოდე მეტრიდან დარტყმული ურთულესი ბურთი მოიგერია, რის შემდეგაც დააფიქსირა მსაჯმა წესების დარღვევა. ლამაზი სეივის ქარისთვის გატანება არ იქნებოდა — ლორია იმავე კუთხეში გადახტა, როგორც მანამდე და... უმალ თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს.

ჩემს კოლეგასთან ამასწინანდელ ინტერვიუში გიორგიმ განაცხადა, რომ უყვარს, როდესაც ბევრი საქმე აქვს. **"კრილია სოვეტოვი"** თავის მეკარეს საშუალებას აძლევს, იყოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი მოთამაშე და ის ამით სარგებლობს კიდეც — გასულ ოთხ ტურში არცერთ სხვა გუნდს მიუცია მეტოქისთვის კარში იმდენჯერ დარტყმის ნება, რამდენიც სამარელებმა მისცეს. კარის ჩარჩოში წასული 28 ბურთიდან 16 საჯარიმოდან იყო, მათგან 13 შემთხვევაში კი ლორიამ გუნდი გადაარჩინა. ამ შემთხვევაში, საჯარიმოში საიმედოობის მაჩვენებელი 81%-ია.

გასაგებია, რომ ოთხი მატჩი ძალიან ცოტაა დასკვნების გამოსატანად, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი არანორმალურად კარგია, რადგან საჯარიმოდან დარტყმის მოგერიებების მხრივ, მსოფლიოს საუკეთესო მეკარეების მაჩვენებელი 58-65%-ს შეადგენს. ოღონდ აქ გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი: ჯერ ერთი, რჩეული მეკარეები რჩეულ კლუბებში თამაშობენ და ამიტომ მათ კარში არცთუ ხშირად ურტყამენ, ეს კი, ბუნებრივია, ზრდის არა რაოდენობას, არამედ გაშვებული ბურთების პროცენტულ მაჩვენებელს. და მეორეც, ეს მონაცემები სრული სათამაშო წლისაა.

თუკი თვალს შევავლებთ სასტარტო ოთხ მატჩში ლორიას კარში საჯარიმოდან განხორციელებული დარტყმების რუკას, დავინახავთ, რომ ქართველი გოლკიპერი ერთნაირად დამაჯერებელია, როგორც ახლო, ისე შორეულ კუთხეში დარტყმების დროს. კარგად იყენებს ფეხებს და აკონტროლებს ნახტომის მანძილს.

არსებობს სტერეოტიპი, რომლის თანახმად, სამხრეთელ მეკარეებს ემოციები მართავთ და თუკი კარის ხაზზე მყოფებს საქმე წაუვათ, მათ ვერაფერი გააჩერებს. ამ მოსაზრებას აქვს საკმარისი საფუძვლები, რომელთაგან უმთავრესი ფსიქოლოგიურია: საუკეთესო მეკარელიბეროები ჩრდილოეთიდან არიან: გაცილებით პრაგმატულად მოაზროვნე გონების მქონე გერმანელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები.

მაგრამ ლორიას ჰქონდა შესაძლებლობა, დარწმუნებულიყო, რომ პარადიგმა იცვლება. საბერძნეთში ის იტალიელ გაეტანოსთან ვარჯიშობდა, რომელიც ყურადღებას წინ გამოსვლაზე აკეთებდა. და არც არანაირი ინტერესი იქნებოდა **"ჩელსისგან"** (თუნდაც რეზერვისთვის), გიორგის რომ ამ სადღეისოდ მნიშვნელოვან კომპონენტში არ მოემატებინა.

ლორიამ კარგად შეითვისა ეს — ის მსუბუქია, როგორც დილის ნისლი, არამხოლოდ კარის ხაზზე, მოედანზეც. ის ყოველ თამაშში ტოვებს საჯარიმოს საზღვრებს და ფრანკ ვერკოტერენსაც ახალი ოფცია უჩნდება შეტევის მოსამზადებლად — გიორგი საკმაოდ დამაჯერებლად იჭერს ფეხით ბურთს და სულაც არაა აუცილებელი, წინ სამი ცენტრალური მცველი ჰყავდეს. მათგან ერთ-ერთის ფუნქციას, რომელიც შეძლებდა მეტოქეზე ზეწოლაში თანაგუნდელთა დახმარებას, საკუთარ თავზე მეკარე იღებს.

ამაში საბოლოოდ დაგვარწმუნა მომენტმა, როდესაც **"სპარტაკთან"** მატჩის პირველი ტაიმის ბოლოს ლორიამ დრიბლინგი შემოგვთავაზა. მეკარე არ შეუშინდა შეცდომას და ბოლომდე წავიდა. და თან, ბურთი უბრალოდ აუტზე კი არ მოიგერია, ცივსისხლიანად შეინარჩუნა, ასწია თავი და მარჯვენა ფრთაზე პარტნიორზე გაკეთებული კარგი პასით კონტრშეტევის წამოწყება სცადა.

რა თქმა უნდა, სრულყოფამდე ლორიას ბევრი უკლია, მაგრამ თავისი უნივერსალიზმით, თუკი სათვალავში არ მივიღებთ ალექსანდრ ბელენოვის 11-მეტრიანებში გამარჯვებებს, ის დღეს პრემიერლიგაში ყველაზე შთამბეჭდავ სამეკარეო შოუს დგამს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გიორგი უკვე მეორე მეკარეა, ვინც რუსეთში საბერძნეთის ჩემპიონატიდან მოვიდა და უმალ პირველი როლი მოირგო. მანამდე მასავით ჟინიანი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ნაკლებად უნივერსალური და ჯერჯერობით, ნაკლებად გამოცდილი იური ლოდიგინი იყო. ეჭვგარეშეა, გიორგი ლორიას საქართველოში თამაში გაუჭიანურდა და ამიტომაც გაიხსნა გვიან, მაგრამ მთავარი აქ სიტყვა **"გახსნაა"**. საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით, 30 წლისა ის კვლავ ზრდის თავის პოტენციალს.

კოლეგებისგან ხშირად ვისმენ, რომ რუსეთის ჩემპიონატი ადამიანური ისტორიების ნაკლებობას განიცდის. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. გაზაფხულზე ლორიამ მოულოდნელად წვერი გაიპარსა — ეს იყო უპრეცედენტო ნაბიჯი ქართველისგან. თურმე, გიორგიმ ამით მხარდაჭერა გამოუცხადა მამას, რომელმაც ქიმიოთერაპიის სეანსების შედეგად თმა დაკარგა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წვერი ისევ მოეზარდა, მაგრამ **"სპარტაკთან"** კვლავ გაპარსული გამოჩნდა, რაც მამის მდგომარეობის გაუარესებაზე მიგვანიშნებდა. შვილმა ის თამაში ისე ჩაატარა, როგორც მეომარმა, რომელიც მაშინაც კი არ აპირებს დანებებას, როდესაც მისი არმია უკან იხევს.

ერთი კვირის შემდეგ ნუგზარ ლორია უკვე აღარ იყო, მაგრამ მას შეეძლო ეამაყა თავისი შვილით. ჯერ ერთი, ის კვლავაც შთამბეჭდავად და კიდევ უფრო ჯიქურად გააგრძელებს თამაშს. მეორეც, კოტე მახარაძის დროიდან მოყოლებული, რომელთან ერთადაც იყოფდა გადასაღებ მოედანს ნუგზარ ჭიჭიკოს ძე, ქართველებისთვის ფეხბურთი იდეოლოგიურად ყოველთვის იქნება სპექტაკლი. ითამაშო ბრწინვალედ ისე, რომ არ გადაამლაშო — უდიდესი ნიჭია. გიორგი ლორია სეზონის დასაწყისში სწორედ ასე მოქმედებს.

# გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

**წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ — 557.324.374**

# იუმორი

დაქალი ეუბნება დაქალს: — მაპატიე, რომ შენს ქორწილში ვერ მოვედი. მაგრამ, შემდეგ ქორწილში აუცილებლად მოვალ...

* * *

კონსერვატორიაში, მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტი ეკითხება გამომცდელს:

— მაპატიეთ, მაგრამ მსურს ვიცოდე სიმართლე: ჩემი ხმა არაფრად არ ვარგა?

— რატომ, იგი ძალიან გამოდგება ხანძრის დროს, ან ძარცვისას!

* * *

ახალგაზრდა ქალი მიდის მკითხავთან:

— ხუთი წლის წინ თქვენ მიწინასწარმეტყველეთ, რომ მეყოლებოდა ქმარი და ხუთი შვილი. აი, ხუთი შვილი უკვე მყავს!

— შესანიშნავია!

— ახლა კი მოვედი იმის გასაგებად, თუ როდის მეყოლება ქმარი...

* * *

ამაზონიის ჯუნგლებში ტურისტი ხედავს, როგორ მიჰყავს ადგილობრივ ინდიელს ყელზე ქვაშებმული ქალი მდინარისაკენ.

— მდააა, აქ მართლაც ძალიან გამარტივებული ყოფილა განქორწინების პროცედურა.


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.



დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



## მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge